# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 13 მარტი, 2010 წელი.

№47 (6413)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


# პოლიტიკური სამძიმარი,



## ანუ რით ჰგვანან და არ ჰგვანან ერთმანეთს ობამა და სააკაშვილი...

3

## სად ვეძებოთ ჩამარხული ქალღმის თავი?

5

*ომი და რუსეთის მიერ აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ ოკუპაცია და მათი დამოუკიდებლობის ცნობა შეიძლებოდა თავიდან აგვეცილებინა, თუ არა ხელისუფლებაში მოსული ახალგაზრდების რადიკალური და პათოლოგიურად აფექტირებული ნაწილის საომარი ჟინი (შეიძლება, სხვა შეფარული განზრახვა), რის გამოც აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ დაბრუნების საკითხმა გაურკვეველი დროით გადაიწია, თუ უარესი არ მოხდა!...*

## საქართველოს პრეზიდენტი ულოცავს აკადემიკოს ვაჟა ოკუჯავას

**ბატონო ვაჟა,**



გილოცავთ საიუბილეო თარიღს. მიიღეთ ჩემი საუკეთესო სურვილები.

თქვენ ჩვენი დროის დიდი მეცნიერი ბრძანდებით, რომელმაც ნეირობიოლოგიის სფეროში მიღწეული წარმატებებით მედიცინის არაერთი აქტუალური პრობლემა გადაჭრა, ქართული სამეცნიერო სკოლა ახალ სიმაღლეზე აიყვანა და ჩვენი ქვეყანა მთელ მსოფლიოს გააცნო.

მოხარული ვარ, რომ საქართველოს ასეთი მაღალი კლასის მეცნიერი და საყოველთაოდ აღიარებული მკვლევარი ჰყავს. თქვენ გიცნობენ და გაფასებენ მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო წრეებში და ჩვენთვის ეს მნიშვნელოვანია, რადგან ძლიერი და განათლებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი მისია სწორედ ქვეყნის ინტელექტუალურ ნაწილს აკისრია.

იმედს ვიტოვებ, რომ თქვენ კიდევ ბევრს გააკეთებთ ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. ჯანმრთელობას, დღეგრძელობასა და წარმატებებს გისურვებთ სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობაში.

პატივისცემით

მიხეილ სააკაშვილი.

## როგორ უღალატეს ქართულ საქმეს ქართველმა დეპუტატებმა

3

### ალექსანდრე კრილოვი:

## არ გამოვრიცხავ, რომ ქართველი პოლიტიკოსები მოსკოვში ფინანსურ მხარდაჭერასაც ეძებდნენ

2

დღის მთავარი თემა



## გარჩეჩილაძე-ალასანიას ტანდემ-განდემი

◉ ვიზიტი

# იმ ქედს იქით ჩინეთია!

**უკრაინაში ვიზიტის შემდეგ თემურ შაშიაშვილი საქართველოს რეგიონებსაც ესტუმრა იქ რეალურად არსებული მდგომარეობის ადგილზე გასაცნობად. მისი მოგზაურობა ამჯერად დასავლეთ საქართველოში (იმერეთი, აჭარა, სამეგრელო, გურია) ოთხი დღე გაგრძელდა. ამჯერად ბატონი თემური თბილისში იმყოფება და სანამ აღმოსავლეთ საქართველოშიც იგივე მიზეზით გაემგზავრება, მანამდე ჟურნალისტებს ლიხსიქითა საქართველოს პრობლემები გააცნო, რომელიც უმეტეს შემთხვევაში როგორც ხელისუფლებისა და ოპოზიციის, ასევე ჟურნალისტების ყურადღების მიღმა რჩება.**



მოგეხსენებათ, ორიოდე წლის წინათ, არჩევნების წინ ერთ-ერთი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც რეგიონების მოსახლეობის ნდობის მოპოვების აუცილებლობაზე ამახვილებდა ყურადღებას „ეროვნული ფორუმი“ იყო. მაშინ მათ გასვლითი ტურები და შეხვედრებიც მოაწყვეს. დღეს, როცა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები უნდა ჩატარდეს, რატომღაც ყველა მხოლოდ თბილისის მერისა და საკრებულოს კანდიდატებზე საუბრობს, არადა ეს არჩევნები სრულიად საქართველოს (ყოველ შემთხვევაში რასაც დღეს ტერიტორიულად წარმოვადგენთ) მასშტაბით ტარდება და რეგიონების ბედიც, მათი ეკონომიკური განვითარებაც და კიდევ უამრავი პრობლემური საკითხი იმ პირებზე იქნება დამოკიდებული, რომელსაც ხალხი აირჩევს. შესაბამისად, იქაც ხელისუფლების ერთპიროვნული მმართველობა, რომ არ დამყარდეს და მერე ოპოზიციას თავიდან არ ჰქონდეს „საქმე საკეთებელი“ და ამომრჩევლისთვის სასაყვედურო, უპრიანი იქნებოდა დროზე გამოეფხიკათ ყურები.

მართალია, „თეთრები“ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში არ მონაწილეობენ, არც მეროობის კანდიდატი ჰყავთ (ირაკლი ალასანიას კანდიდატურას უჭერენ მხარს), მაგრამ მათი სამოქმედო პროგრამა, თბილისის გარდა სხვა ქალაქებსა და სოფლებზეცაა გათვლილი. ეს არც არის გასაკვირი, რადგან პარტიის ლიდერი თემურ შაშიაშვილი წლების განმავლობაში იმერეთის გუბერნატორი იყო და კარგად იცის, რა აწუხებს იქ მოსახლეობას. მსგავსი ვითარებაა კახეთშიც, აჭარაშიც, ქართლში და, საერთოდ, ყველგან. როგორც თემურ შაშიაშვილი აცხადებს, საშინელებაა ის, რაც სინამდვილეში ხდება. თითოეულ რეგიონს ოთხი-ხუთი კაცი განაგებს, რა თქმა უნდა ხელისუფლების წევრების სანათესავო, მათ ხელშია რესტორნები, ბენზინგასამართი სადგურები, ყველა ის დაწესებულება, რომლითაც რეგიონი უნდა ვითარდებოდეს. უზარმაზარი თანხა შედის მათ ჯიბეში გზების მშენებლობებიდან. ხალხი კი ამას თითქოს მიეჩვია. ჩვენ გვჭირდება ქართველი ხალხის ერთიანი აფეთქება ყველაფერი ქართულისა და ტრადიციულის გადასარჩენად! – აცხადებს თემურ შაშიაშვილი.

„თეთრები“ ფიქრობენ, რომ ხელისუფლების გახრწნის ყველა ნიშანი ხელისგულზეა. დღეს საქართველოში 140 ათასი სახელმწიფო მოხელეა (რაც საჭიროზე მეტია), მათი საშუალო ხელფასი კი 2000-დან 2500 ლარამდეა, როცა არსებული პენსიები საარსებო მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებს.

***თემურ შაშიაშვილი, პარტია „თეთრების“ ლიდერი:*** **ვიცოდი, და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი თანამდებობის შესანარჩუნებლად იმ სკამსაც კი გაყიდის, რომელზეც ზის. როცა მარტვილში გეუბნებიან, რომ იმ ქედს იქით ჩინეთია, როცა ქუთაისში გეუბნებიან, რომ საავტომობილო ქარხანა ჩინეთია, როცა შერვაშიძეების სასახლეში 400 ინდოელი ლტოლვილი ცხოვრობს, ეს ქვეყნის კატასტროფა არ არის? ეს არის გენოციდი საკუთარი ხალხის, რომელსაც ფასებს ხელოვნურად უმატებენ პროდუქციაზე, საწვავზე, ბუნებრივ აირზე...**

**ჩვენი პრეზიდენტი და მისი ტელევიზიები კი გამოდიან და გვარწმუნებენ, ყველაფერი კარგად არისო. ფსევდო რეფორმებით კი ბექუაშვილი და მისი მსგავსი დეპუტატები, ხალხის ჯიბიდან ამოღებული კაპიკებით განცხრომით ცხოვრობენ. ნებისმიერ სერიოზულ ბიზნესს ისინი ლობირებენ, ნებისმიერი ტენდერი მათი გამარჯვებით მთავრდება. ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება, მოსახლეობამ, ქართულმა საზოგადოებამ, ინტელიგენციამ ხმა უნდა ამოიღოს საქართველოში გამეფებული უსამართლობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ.**

**„თეთრების“ ლიდერი მომავალ ვიზიტს აღმოსავლეთ საქართველოში გეგმავს. ისინი მოსახლეობას „ღირსების ულტიმატუმს“ წარუდგენენ, რომელშიც ხელისუფლებისადმი სხვადასხვა მოთხოვნაა ჩამოყალიბებული. უახლოეს ხანში „თეთრები“ სამოქმედო პროგრამას და ექსპერტების დახმარებით შემუშავებულ ქვეყნის მომავალ განვითარების გეგმასაც გააცნობენ საზოგადოებას.**

**ანა წიწილაშვილი**

◉ ინფორმაცია

## მალდივთან დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა

**გუშინ, საქართველომ და მალდივის რესპუბლიკამ ხელი მოაწერეს ერთობლივ კომუნიკეს დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობების დამყარების შესახებ. მალდივის რესპუბლიკის მხრიდან ერთობლივ კომუნიკეს ხელი მოაწერა გაეროსთან მალდივის მუდმივმა წარმომადგენელმა აბდულ გაფურ მუჰამედმა, ხოლო, საქართველოს მხრიდან – საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა ალექსანდრე ლომაიამ. ხელმოწერის ცერემონიალი გაიმართა ნიუ-იორკში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობაში.**

**დღეისათვის გაეროს 191 წევრი სახელმწიფოდან საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობები დამყარებული აქვს 132-თან.**

ХО-ЭОВ-ЭБО

◉ განსჯა

**რუსეთის პრემიერ-მინისტრ პუტინთან ქართული ოპოზიციის ლიდერების შეხვედრის რეალურ მიზნებზე, ეყოლება თუ არა რუსეთს საქართველოში 2013 წლისთვის დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებზე თავისი ფავორიტი და როგორ შეიძლება დაიბრუნოს საქართველომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, „ინტერპრესნიუსი“ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის წამყვან მეცნიერ-თანამშრომელს ალექსანდრე კრილოვს ესაუბრა.**

**— ბატონო ალექსანდრე, საქართველოში ექსპრემიერ ნოლაიდელისა და ექსსპიკერ ნინო ბურჯანაძის მოსკოვში ვიზიტებთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. თქვენი აზრით, სინამდვილეში რა ხდება? რას უკავშირდება საქართველოს მიმართ მოსკოვის გააქტიურება?**

— მოსკოვში ქართული ოპოზიციის ლიდერთა ჩამოსვლაში არაფერი კრიმინალური არ არის. როგორც ჩანს, ოპოზიციის ლიდერები რუსეთ-საქართველოს შორის არსებული პრობლემების გადაწყვეტის გზებს ეძებენ. მე არ გამოვრიცხავ, რომ ქართველი პოლიტიკოსები მოსკოვში პოლიტიკური მხარდაჭერის გარდა, ფინანსურ მხარდაჭერასაც ეძებდნენ.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამო კავკასიისადმი დასავლეთისა და ამერიკის ინტერესი დაიკარგა, შესაბამისად, ქართულ ოპოზიციას დასავლეთის მხარდაჭერა დაკარგული აქვს. არ არის გასაკვირი, რომ ასეთ ფონზე ქართული ოპოზიცია აქტიური პოლიტიკური საქმიანობის გასაგრძელებლად ფინანსებს მოსკოვში ეძებდეს. კონტაქტების დამყარებითა და მოსკოვთან დამოუკიდებელი დიალოგის დაწყებით, შესაძლოა, გათვლა კეთდება იმაზე, რომ რუსეთისადმი კეთილგანწყობილმა დამოკიდებულებამ საქართველოს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში მხარდაჭერა მოიპოვოს.

**— რჩება შთაბეჭდილება, რომ მოსკოვი საქართველოსთან დიალოგის დაწყების იმიტაციით არის დაკავებული და, პარალელურად, საქართველოში 2013 წელს საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადება, რისთვისაც კრემლის კარზე საქართველოს პრეზიდენტობის სავარაუდო კანდიდატთა არაოფიციალური დეფილეები იმართება?**

— არა, ამგვარ შეფასებას ვერ გავიზიარებ, რადგან ახლა 2013 წელზე არავინ არ ფიქრობს, ვინაიდან 2013 წლამდე ძალიან დიდი დროა. თუ ადამიანებს უნდათ რუსეთის ხელისუფლებასთან შეხვედრა და მათ მოსკოვში იღებენ, ამაში ცუდს და მით უმეტეს კრიმინალურს, ვერაფერს ვხედავ, პირიქით, ეს ბუნებრივი პროცესია. კრემლი არ ერევა საქართველოში მყოფი იმ რუსული კომპანიების მუშაობაში, რომლებიც დასავლეთ საქართველოში მოსახლეობის სოციალურ პრობლემებს აგვარებენ და ერთგვარად აძლიერებენ სააკაშვილის რეჟიმს. მოგეხსენებათ, რომ სააკაშვილი მოსკოვში რუსეთისთვის არასასურველ პოლიტიკოსად არის გამოცხადებული.

როგორც უკვე ვთქვი, კრიზისის გამო კავკასიისადმი ინტერესი ახლა ნაკლებია და ისეთი ვითარება შეიქმნა, რომელზეც 2-3 წლის წინათ ვერც კი ვიოცნებებდით. მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ ახლა ბაქო და ანკარა „ნაბუკოსთვის“ აზერბაიჯანული გაზის მოწოდების ფასზე ვერ თანხმდებიან და აზერბაიჯანმა თავისი გაზის რუსეთსა და ირანში გაყიდვა დაიწყო. ეს ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ დღევანდელ მსოფლიოში ვითარება საგრძნობლად შეიცვალა.

**— გასაგებია, რომ ოფიციალური მოსკოვი თბილისს არ ელაპარაკება და არ არის მზად, განიხილოს ისეთი საკითხები, როგორიც არის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დეოკუპაცია, დევნილთა დაბრუნება და 12 აგვისტოს შეთანხმების შესრულება, მაგრამ თქვენი აზრით, რისთვის არის მზად რუსეთი და ქართულ ოპოზიციასთან რა საკითხებზე თანამშრომლობას აპირებს?**

— მოსკოვმა უკვე გახსნა ზემო ლარსის გამშვები პუნქტი. ეტყობა მზად არის, განაახლოს მოსკოვსა და თბილისს შორის საჰაერო მიმოსვლა, თუ ქართული მხარე იმ დავალიანებას დაფარავს, რომელიც ქართულ კომპანიებს რუსეთის სახმელეთო სამსახურების მიმართ აქვთ.

მოსკოვი სააკაშვილთან პოლიტიკური დიალოგისათვის მზად არ არის, ვინაიდან რუსეთის ხელისუფლებამ იგი აგვისტოს ტრაგიკული მოვლენების მთავარ სამხედრო დამნაშავედ გამოაცხადა. ამას წინათ, პრეზიდენტმა მედვედევმა სააკაშვილი მხოლოდ პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადა. როგორც ეტყობა, მოსკოვი სააკაშვილზე ძებნას არ გამოაცხადებს და არც საქმეს აღძრავს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობის ხასიათი შეიცვლება. რუსეთი არაფერს არ აკეთებს და იმ დროს ელოდება, როცა სააკაშვილი ამა თუ იმ გზით ხელისუფლებაში აღარ იქნება. ეს კი ძალიან დიდხანს შეიძლება გაგრძელდეს, ვინაიდან სააკაშვილი ძლიერი პოლიტიკოსია და რეალური შესაძლებლობები აქვს, რომ ხელისუფლებაში დარჩეს.



ალექსანდრე კრილოვი:

## არ გამოვრიცხავ, რომ ქართველი პოლიტიკოსები მოსკოვში ფინანსურ მხარდაჭერასაც ეძებდნენ

**— ფაქტია, რომ რუსეთიც დაინტერესებულია ქართულ საზოგადოებასთან დიალოგის დაწყებით. იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხები საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი თემებია, უპრიანი ხომ არ იქნებოდა რუსეთს თბილისისგან დამოუკიდებლად გადაედგა ამ კონფლიქტების მოგვარებისკენ მიმართული ნაბიჯები? ვთქვათ, შეაჩეროს ამ რეგიონებში სამხედრო ბაზების მშენებლობა...**

— რუსეთს არავინ არ აიძულებს ამგვარი ნაბიჯების გადადგმას. რუსეთის ლოგიკა გასაგებია – მოსკოვი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს დამოუკიდებელ სუბიექტებად აფასებს, რომელთა დამოუკიდებლობა თავად აღიარა, ახლა კი სამხედრო და სხვა სახის თანამშრომლობას ამის საფუძველზე აღრმავებს. მაგრამ, ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოს არ შეუძლია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება. თუ საქართველო აფხაზებისა და სამხრეთელი ოსებისთვის უფრო მიმზიდველი და წარმატებული ქვეყანა გახდება, ვიდრე რუსეთია, ამ შემთხვევაში რუსეთი ამ რეგიონებში არ იბრძოლებს და ხელს არ შეუშლის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოში დაბრუნებას.

მაგრამ, საქართველოს საუბარი მოუწევს აფხაზებთან და სამხრეთელ ოსებთან. სრულიად გაუმართლებელია ყველაფრის, მათ შორის ოკუპაციის მხოლოდ რუსეთისთვის დაბრალება. თბილისში უნდა ესმოდეთ, რომ ეს რესპუბლიკები არა მხოლოდ საქართველოს ნაწილებია, არამედ იქ ცხოვრობენ აფხაზები და სამხრეთელი ოსები და მათთან დიალოგის წარმოება საჭირო, ეს მათ უნდა მოისურვონ საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება.

ასე მოხდა კვიპროსზე. 2005 წლის რეფერენდუმზე კვიპროსელმა თურქებმა კვიპროსის რესპუბლიკაში ცხოვრება მოისურვეს, მაგრამ ამაზე უარი კვიპროსელმა ბერძნებმა ეთნიკურ ნიადაგზე ვითარების შესაძლო გამწვავების გამო თქვეს.

**— საქართველო ცდილობდა, მიმზიდველი და დემოკრატიული გამხდარიყო და ევროსტრუქტურებშიც გაწევრებულიყო, მაგრამ რუსეთისგან სწორედ ამის გამო დაისაჯა. ახლა კი, როცა რუსული ტანკები თბილისიდან 40 კილომეტრში დგანან და ქვეყანა მუდმივად რუსული აგრესიის საფრთხის წინაშე დგას, საქართველოს ამგვარ ქვეყნად გადაქცევა, პრაქტიკულად, შეუძლებელია...**

— შეუძლებელი არაფერია. კვიპროსმა შეძლო. კვიპროსშიც იდგნენ თურქული ტანკები, დედაქალაქი ნიქოზია ორად იყო გაყოფილი, მაგრამ ბერძნებმა შეძლეს. სამწუხაროდ, სსრკ-ს დაშლის შემდეგ ქართული პოლიტიკა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემების მოსაგვარებლად სამხედრო ძალით გადაწყვეტაზე იყო ორიენტირებული. რით დამთავრდა ამგვარი მცდელობები, თავად იცით. ქართული მხარე 20 წელია, ამტკიცებს, რომ მისი პრობლემები მხოლოდ რუსეთს უკავშირდება, რაც აბსოლუტურად არასწორი შეხედულებაა. საჭიროა, მოვლენებისთვის ობიექტურად შეხედვა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისადმი გაწონასწორებული პოლიტიკის შემუშავება. საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთადერთი სახელმწიფოა, რომელთანაც რუსეთს დაძაბული ურთიერთობა აქვს. რუსეთს პრობლემები ჰქონდა ყაზახეთთან, ბელორუსთან, უკრაინასთან, მაგრამ შეიარაღებულ დაპირისპირებამდე საქმე იმიტომ არ მისულა, რომ რუსეთი არც ისე ცუდი ქვეყანაა.

**— რამდენადაც ვხვდები, თქვენ არ იზიარებთ მოსაზრებას, რომ რუსეთმა საქართველო დასავლეთისკენ სწრაფვის გამო დასაჯა?**

— სააკაშვილს რომ არ დაეწყო ოპერაცია ცხინვალზე, ყველაფერი ისე გაგრძელდებოდა, როგორც იყო. ქართული მხარის კოდორისა და ლიახვის ხეობებში გაძლიერება ვითარებას იქამდე მიიყვანდა, რომ თბილისი სოხუმსა და ცხინვალზე კონტროლს თანდათან აღადგენდა. ამ პოლიტიკას რუსეთი ხელს არ უშლიდა. სააკაშვილმა შეცდომა დაუშვა, როცა ცხინვალს ცეცხლი გაუხსნა.

საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრირება სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით შეეძლო და არა სამხედრო ბლოკ ნატოში გაწევრების საშუალებით. ნატო კი რუსეთისათვის საფრთხეს წარმოადგენს.

**— ბევრი არ უარყოფს, რომ თბილისი რუსეთის მიერ დაგებულ მახეს წამოეგო, მაგრამ ამ თემებზე საუბრისას ისიც გასათვალისწინებელია, რომ საომარი მოქმედებების დაწყებამდე რუსი სამხედროები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში იყვნენ კონცეტრირებული...**

— საომარი მოქმედებების დაწყებამდე ცხინვალში მხოლოდ 500 რუსი მშვიდობისმყოფელი იყო. სიმართლე იმაშია, რომ სსრკ-ის დაშლის შემდეგ ქართულმა მხარემ ბევრი სისულელე ჩაიდინა. თუ არ გვინდა იგივე კარები ვამტვრიოთ, საჭიროა მოვლენების საღად შეფასება და დაშვებული შეცდომების დაძლევა.

**კობა ბენდელიანი**

აფხაზეთი

# როგორ უღალატეს ქართულ საქმეს ქართველმა დეპუტატებმა

***აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პირველი პირი, შემდეგში დამოუკიდებელი რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი ვლადისლავ არძინბა რამდენიმე დღის წინათ მშობლიურ მიწას მიაბარეს. სეპარატისტი იყო ის თუ გმირი, — ამის გარკვევას ისტორია უცილობლად შეეცდება, თუმცა მიცვალებულებზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერს.***



***ჩემი რესპონდენტი კი ამას ნამდვილად არ იზიარებს და იმ დროს იხსენებს, თუ როგორ მიჰყავდა ომის ზღურბლთან არძინბას აფხაზეთი. ნუგზარ მგალობლიშვილი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ქართველთა ღალატის ფაქტებზეც ყვება...***

**— ვინ იყო ვლადისლავ არძინბა და როგორ მოვიდა ის აფხაზეთის ხელისუფლებაში?**

— არძინბა იყო საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ბლოკ „სოიუზიდან". ეს ბლოკი აერთიანებდა პოლიტიკურ მოძრაობებს: აფხაზურ „აიდგილარას", „სლავიანსკი დომს" და სომხურ „კრუნკს". ესენი ერთ ბლოკში გაერთიანდნენ ქართველთა წინააღმდეგ. სწორედ მათ, ამ არაქართულმა ძალებმა წამოაყენეს არძინბას კანდიდატურა. იმდროინდელ აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში იყო 140 დეპუტატი, სადაც უმცირესობას ქართველები წარმოადგენდნენ. ქართველებს მხარს უჭერდა ერთადერთი ბერძენი დეპუტატი — ფიტოზოვი, რომელიც სეპარატისტებმა იძულებული გახადეს აფხაზეთი დაეტოვებინა და საბერძნეთში გადასახლებულიყო.

არძინბა ყოვლად მიუღებელი იყო ქართველებისთვის. თქვენ გახსოვთ, ალბათ, იყო ასეთი კაცი კონსტანტინე ოზგანი — პირწავარდნილი სეპარატისტი, მაგრამ ვაჟკაცი, სათქმელს პირდაპირ ამბობდა. პირადად დაველაპარაკე მას და ვუთხარი, ჩვენ დაგიჭერთ მხარს-მეთქი, ჩვენი აზრით, ის უმჯობესი იყო, ვიდრე არძინბა, მაგრამ მან ამაზე უარი განაცხადა.

ამ დროს მოხდა საინტერესო რამე. ჩვენ შეგვხვდა ყოფილი აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბორის ადლეიბა, რომელიც თანამდებობიდან გაათავისუფლეს ლიხნის წერილზე ხელმოწერის გამო.

**— რა წერილი იყო?**

— ლიხნში შეკრებაზე მიიღეს რეზოლუცია საქართველოსგან აფხაზეთის გამოყოფის შესახებ. მან აღნიშნა, რომ იძულებული გავხდი ხელი მომეწერაო და ასეთი რამ შემოგვთავაზა: არძინბას ყველა შანსი აქვს, რომ აირჩიონ, რაც ძალიან მაშფოთებს, რადგან ეს ცუდად შემოუბრუნდება აფხაზეთს და ვითარებას სისხლისღვრამდე მიიყვანს. ამიტომ შემოგთავაზებთ გზას, რომელიც შეძლებს აფხაზეთში მდგომარეობის განმუხტვასო.

**— რა იყო ეს გზა?**

— ეს იყო შემდეგნაირი: არძინბა იქნება არჩეული და ქართველებს არა გაქვთ მექანიზმი, ხელი შეუშალოთ ამ პროცესს, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ არძინბას არჩევის შემდეგ, იმ დღესვე იქნას მოწვეული საოლქო კომიტეტის პლენუმი, სადაც მე დამაბრუნებთ ჩემ თანამდებობაზეო, ანუ პირველი პირი კვლავ ადლეიბა გახდებოდა. მან პირობა დადო, რომ აფხაზეთის კონსტიტუციას შესაბამისობაში მოიყვანდა საქართველოს კონსტიტუციასთან.

ეს ინფორმაცია მე ზვიად გამსახურდიასათვის უნდა გადამეცა. ასეც მოვიქეცი და ზვიადიც დაგვეთანხმდა. ადლეიბა გეგმავდა გაეუქმებინა საოლქო კომიტეტი, გამხდარიყო აფხაზეთის პირველი პირი, ხოლო არძინბას სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორად გადაიყვანდა. მართლაც, ეს იყო რეალური ხსნის გზა, რომ არძინბა მმართველობას ჩამოცილებოდა.

პლენუმის მოწვევის შესახებ საოლქო კომიტეტის წევრები და დეპუტატები შევთანხმდით, მაგრამ სამწუხაროდ, პლენუმის წევრმა თანამდებობის პირებმა ეს შეთანხმება ჩაშალეს.

**— რატომ? იცოდნენ ამ გეგმის შესახებ თუ არა?**

— ამ გეგმის შესახებ იცოდნენ, მათ მხარდაჭერაც აღგვითქვეს. მაგრამ ვისაც უნდა დაენიშნა პლენუმი, ის რამდენიმე დღით საერთოდ გაქრა, ვერსად ვიპოვეთ. როცა გამოჩნდა, მან აღიარა კიდეც, რომ ეს შეგნებულად ჩაიშალა... მოსკოვიდან. სამი დღის შემდეგ, როცა ღალატის შესახებ გაიგო ადლეიბამ ძალიან განიცადა და ინფარქტით გარდაიცვალა კიდეც. მოკლედ, აი, ასე ჩაიშალა მთელი ეს პროგრამა...

**— ამის შემდეგ მართვის სადავეებს ხელში იღებს არძინბა. ის ცდილობს სამართლებრივი საფუძველი იპოვოს და აფხაზეთი მოწყვიტოს საქართველოს...**

— სამართლებრივი არა. იმიტომ, რომ აფხაზეთის კონსტიტუციაში მიღებული იყო ისეთი ცვლილებები, რომელიც ამყარებდა ქართველთა პოზიციას, ანუ ტერიტორიული თუ სხვა საკითხები მხოლოდ ორი მესამედით გადაწყდებოდა, თუ ასეც ვერ მოხდებოდა, მას განიხილავდა შემთანხმებელი კომისია, სხვა შემთხვევაში საკითხი განუხილავი რჩებოდა.

**— და როცა 1992 წლის 23 ივნისს არძინბამ ე. წ. 1925 წლის კონსტიტუცია აამოქმედა, ჰქონდა თუ არა მას სამართლებრივი საფუძველი?**

— საქმე ისაა, რომ ეს მოხდა კონსტიტუციისა და კანონის სრული უარყოფით. 26 ქართველი, 28 აფხაზი და 11 სხვადასხვა ეროვნების დეპუტატი წარმოადგენდა აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს. არც ერთი ქართველი არ მიმხრობია ამ კონსტიტუციას და 11-ვეც რომ მიმხრობოდა აფხაზებს, ორი მესამედი მაინც არ გამოდიოდა, მით უმეტეს 11-დან 3 ქართველებს უჭერდა მხარს.

**— ამბობენ, რომ სწორედ იმან გადაწყვიტა აფხაზეთის ბედი, რომ ქართველი დეპუტატები ოთხით ნაკლები აღმოჩნდნენ, ვინაიდან სამი სწორედ არძინბამ დანიშნა სოხუმში, გულრიფშსა და გალში გამგებლებად, ხოლო ერთი არჩეული არ იყო.**

— ასეც რომ ყოფილიყო, არც ერთ ქართველს ხმა არ მიუცია. იქ 36 დეპუტატი თუ იქნებოდა, ეს კი არ უდრიდა ორ მესამედს.

**— თქვენ „მრგვალი მაგიდიდან" არჩეული დეპუტატი იყავით? დანარჩენები რომელ პარტიას წარმოადგენდნენ?**

— დიახ მე, „მრგვალი მაგიდიდან" ვიყავი არჩეული და კიდევ ხუთი თუ ექვსი კაცი, დანარჩენები სხვა პარტიებიდან იყვნენ.

**— ამბობენ, რომ ეს ქართველი დეპუტატები შეირჩნენ არა „მრგვალი მაგიდიდან", არამედ პარტიული ნომენკლატურით და მითითებებს რუსეთისგან იღებდნენ?**

— სინამდვილეში მართლაც იყო ფაქტები. მაგალითად, თქვენ რომ ახსენეთ სამი დეპუტატის გამგებლად დანიშვნის ფაქტი, თუმცა კონსტიტუცია არ კრძალავდა დეპუტატის ადგილობრივ ორგანოში დანიშვნას.

პირადად მე ძალიან გავბრაზდი ამაზე.

**— რატომ იყო აუცილებელი დეპუტატის დანიშვნა ამ რაიონებში, თანაც ქართველის?**

— იმიტომ, რომ ისინი მიდიოდნენ არძინბასთან მოლაპარაკებებზე და თანამდებობებზე...

**— ანუ გარიგებაზე?**

— დიახ. სხვათა შორის თქვენს გაზეთში გამოქვეყნდა ჩემი ინტერვიუ, სადაც მათ არძინბას „პრიანიკებზე" გაყიდული დეპუტატები ვუწოდე.

**— ისინი დღეს სად არიან?**

— როგორც არჩეული დეპუტატები, დღესაც უმაღლესი საბჭოს წევრები არიან.

**— სხვათა შორის, ბატონო ნუგზარ, ამბობენ, რომ ბოლომდე არ უერთგულეს პრეზიდენტ გამსახურდიას...**

— აფხაზეთში ისეთი არავინ იყო, ვინც ზვიადს განუდგა. მე პრეზიდენტთან ერთად ვიყავი „ბუნკერში", გროზნოში, მერე მოსკოვში ვიყავი და ერთი წლის წინათ სასამართლო გადაწყვეტილებით მომანიჭეს პოლიტიკური რეპრესირებულის სტატუსი.

მე ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი, რომ ზვიადი იმ პერიოდში საქართველოში ჩამოსულიყო. მეტიც, ვურჩევდი რუსეთის ტერიტორიის დატოვებას და ჟენევაში წასვლას. მე ვხედავდი საშიშროებას, თუ რა მოელოდა მას, მაგრამ ზვიადმა საქართველოში დაბრუნება არჩია.

**— თქვენ სად იყავით მაშინ, როცა პრეზიდენტი დასავლეთ საქართველოში დაბრუნდა?**

— მოსკოვში. მაშინ ასე მირჩია ნადარეიშვილმა, რათა იქ აფხაზებს პასუხის გამცემი ჰყოლოდათ. ამ კუთხით მართლაც ვიმუშავე, რომ უპასუხოდ არ დარჩენილიყო არც ერთი ბრალდება...

**— რახან არძინბაზე საუბრით დავიწყეთ, ამით დავამთავროთ კიდეც. ვინ იყო ის? მართლა აფხაზების გმირი, თუ ისტორია სხვა სახელს დაარქმევს მას?**

— ის იყო მართული კრემლიდან. ხშირ შემთხვევაში ნორმალური კაცის შთაბეჭდილებას არ ტოვებდა. ძალიან ცანცარა იყო, არც სიბრძნე და სიღრმე ახასიათებდა, ერთმნიშვნელოვნად შემიძლია გითხრათ, რომ მას ისტორიაში გმირად დარჩენის პერსპექტივა არ გააჩნია.

ჩვენ შევთავაზეთ არძინბას, მოდით აფხაზური შვიდწლედები შევქმნათ, გამოვცეთ წიგნები აფხაზურ ენაზე-თქო, რაზეც უარით გვიპასუხა, მე დარწმუნებული ვარ ასეთი ფაქტები თავს კიდევ უფრო იჩენს და დარწმუნდებიან, რომ ვლადისლავ არძინბა აფხაზი ხალხის გმირი ვერასდროს გახდება.

**ესაუბრა**
**თეა მოსია**

შტრიხები

# პოლიტიკური სამძიმარი,

## ანუ რით ჰგვანან და არ ჰგვანან ერთმანეთს ობამა და სააკაშვილი...

**ამბობენ, ლევ ტროცკი უძლიერესი ორატორი იყო, თანაც ისეთი, რომ ლამის ნახევარი „თეთრი გვარდია" „წითელში" გადაიბირაო. ლენინი ტროცკის ტრიბუნობაში კი ჩამოუვარდებოდა, მაგრამ არც მთლად სამოსანი იყო, თანაც „შპარგალკებს" მხოლოდ ხანდახან ხმარობდაო; სტალინს უცხოური აქცენტისა და ლიტერატურული რუსულის უცოდინრობა ეტყობოდა, თუმცა მას ბევრი ლაპარაკი არც სჭირდებოდა, მისი ისედაც, უსიტყვოდაც ესმოდათ — „ინტუიციითო"; გამოვტოვებთ ხრუშჩოვს, ბრეჟნევსა და მისშემდგომი პერიოდის კოლეგებს, რადგანაც ისინი მჭევრმეტყველების ხელოვნების მხრივ ლუდოედკა ელოჩკას მსგავსად, არც სამეცნიერო და არც პოპულარული ინტერესის სფეროს არ წარმოადგენენ.**

გორბაჩოვს „უცნაური" ნიჭი ჰქონდა: ესაუბრა ყველაფერზე, მაგრამ — არაფერზე. ამას, თუ არ ვცდები, დემაგოგიაც ჰქვია, ხოლო ძველბერძნულად ეს ცნება „ხალხის წაყვანას" ნიშნავს. ეს ორი „დემოს"-ის შემცველი სიტყვები სინონიმებივითაა, თუმცა გაურკვეველია დემაგოგია დემოკრატიიდან გამომდინარეობს თუ დემოკრატია — დემაგოგიიდან. ეს უკანასკნელი კი, როგორადაც არ უნდა მოგვწონდეს, საუკუნეების განმავლობაში პოლიტიკური რიტორიკის უმნიშვნელოვანესი და ლეგალური მოქმედება იყო, არის და იქნება. 1980-იანების მეორე ნახევარში მიხეილ სერგეევიჩმა მაინც მოახერხა და რიტორიკული აბდაუბდიდან გამოგვიკრისტალა: „გლასტნოსტი", „უსკორენიე", „პერესტროიკა" და დასველებული „მშრალი კანონი". „გორბისეული" მარგალიტები კი პოლიტიკურ „პოპსას" სამუდამოდ შემორჩა. შევარდნაძემ გორბაჩოვს საკუთარი ფეხი დროსა და, რაც მთავარია, სწორ ალაგს აუწყო, ამიტომ საყოველთაო „გარდაქმნის" ფორმატში დიდი მარკ ანტონიუსობა არც დასჭირვებია — არც სსრკ-ის საგარეო საქმეებით დაკავების დროს და არც ასევე „საგარეო" საქართველოს მთავარი მენეჯერის პოსტზე ყოფნისას. პირადად მე ყველაზე ცხადად ედუარდ ამბროსის ძის ფრთოსანი ფრაზა: „მანამდე არ აგიდგეთ გვერდები, სანამ მე არ გადავდგები" დამამახსოვრდა. ჩემს მეხსიერებას შემორჩენილი უკანასკნელი ქართველი პირველი მდივნები — პატიაშვილი და გუმბარიძე ორატორული რულადებით ნამდვილად არ გამოირჩეოდნენ. საქართველოს პირველი პრეზიდენტის ქვეყნის თავკაცობის პერიოდი კი არც ისე ხანგრძლივი იყო, ხოლო მისი საჯარო გამოსვლები სხვა, უფრო წონიანი მიზეზებისა გამო უკვე ქარიზმულად და მომნუსხველად არ ჟღერდა და ამიტომაც როგორადაც არ უნდა მოენდომებინა — ტკბილად მოუბრობით თუ შეჩვენებით — თავის ბანაკში ვერც „წითლებს", ვერც ციხიდან გასაქცევად მომზადებულ „ზეკებს" და, მით უმეტეს, ვერც საერთაშორისო ჭიშკრისქვეშეთს გადაიბირებდა, მთლად ერთად მარკუს ტულიუს ციცერონად, მირაბო ონორე გაბრიელად და მარტინ ლუთერ კინგად რომ გადაქცეულიყო.

ბორის ელცინის პოლემიკური ილეთების ნაკრებიდან „რელსებზე დაწოლა" და „აიღეთ იმდენი სუვერენიტეტი, რამდენიც შეგიძლიათ" (ჩეჩნეთს ეს უკანასკნელი „სლოგანი" ძალიან ძვირი დაუჯდა) და წარმოთქმული ფრაზების ხან თავში, ხან ბოლოსკენ „კრეშჩენდოები" მახსოვს. აი, ისე, უკაცრავად ნატურალიზმისთვის, ლოთს რომ ამოაბოყინებს ხოლმე. ბორის ნიკოლაევიჩის მიერ საკუთარ მაგალითზე „მშრალი კანონის" უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე გაუქმების შემდეგ რუსულ დიპლომატიაში მისი შვილობილის კრიმინალური ენის „ორატორიები" — პუტინისეული „მოჩიტ ვ სორტირე" (ანეკდოტიც კი გაჩნდა — „პუტინა ბოიატსა, ვ სორტირ ნე ხოდიტ"ძ, „ქევატ სოპლი" და მისთანანი დამკვიდრდა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ვლადიმირ ვლადიმირის ძის მიერ მთელს ევროპაზე გაცხადებული „ყველაზე რადიკალური ისლამისტებისთვის" მოსკოვში ჩასატარებელი წინადაცვეთის ოპერაციის ჯალათური მეთოდის ისეთი მანიპულაცია, „ჩტობი უ ვას უჟე ნიჩეგო ნე ვიროსლო". საერთოდ პუტინის ლექსიკონში მამაკაცის ორგანიზმის ყველაზე ეროგენულ ზონას საპატიო-ტაქტიკური ადგილი უჭირავს. საინტერესოა ქალმოწინააღმდეგეებს რითი დაემუქრებოდა? ჩვენი პრეზიდენტიც არ შეეპუა და ამერიკიდან „სექსუალნო ოზაბოჩენი" პუტინს „დაუმესიჯა": თუ ჩემს ქვეყანას გამოადგება, მზად ვარ ამ ჩემს ადგილს შეველიოო. მიუნხენში მყოფ დიპლომატებს კი პუტინისეული ეგზოტიკური წინადაცვეთის კი არა, სრული კასტრაციის ვიზუალურმა წარმოდგენამ არალიბიდური ჟრუანტელი მოჰგვარა.

იხ. 4 გვ.

შტრიხები

(მესამე გვერდიდან)

მერე პუტინმა ნამდვილი ვერბალური არტეფაქტი შვა: „იმან, თუ როგორ ჩაიარა საარჩევნო კამპანიამ, მე ამარიდა მთავარ აუცილებლობას – აუცილებლობას იმისას, რომ მოსახლეობის მასები მომეტყუებინა“. მშობელ ხალხს კი მოეწონა – ჩვენი-ჩვენებური ბიჭიაო, ჩვენი ფესვებიდან ამოზრდილი, ჩვენი მენტალური ორლობის, ხალხურიო, სახალხოო, ხალხოსანიო, ხალხში გარეულიო, ჩვენი მაგალითი (ამერიკელები იტყოდნენ – „როლური მოდელი“ძ, ჩვენი ენა ესმის, ჩვენი ჯიგარიაო, „რუბახაპარენო“, „დაიოშ, რეიტინგ!“-ო... ჰო, კიდევ: ჯერ კიდევ პრეზიდენტობისას ვლადიმირ ვლადიმირის ძემ მეტეოროლოგიური ფიცის დადებაც მოახერხა: „ია გარანტირუიუ სნეგ 3 სოჩი 3 2014!“-ო. აბა, დემოკრატია რისი დემოკრატიაა, პოლიტიკოსს ხალხი სტაბილური მოწონების რეჟიმში თუ არა „ჰყავს“ და თანაც დემოსმა მოწონების ეს უფლება კარგად არ გამოიყენა, ქვეყნის „ნაჩალნიკი“ ხალხის ენას, მაჯისცემასა და ჰ ემოგლობინს თუ ვერ იგრძნობს, მაშინ ან რისი პოპულისტი (ლათინურად Populus – ხალხიძ ან რა პოლიტიკოსი, ან რა საკონსტიტუციო გარანტია?

კარგად მახსოვს, „ვარდების რევოლუციის“ პირველი პარლამენტის ოპოზიციონერი წევრების „სფიჩების“ კონტრასტი კანონმდებელთა შენობის შიგნითა და გარეთ – ალმგზნები თუ დამამშვიდებელი სიტყვის მომლოდინე მომიტინგეების წინაშე – იმ პარლამენტის შენობის კიბეებზე, საიდანაც ერთი წუთის წინათ გამოვიდნენ და სადაც საყველპურო ქართულზე უფრო მეტის ცოდნას ამჟღავნებდნენ. ქუჩაში გამოვიდოდნენ თუ არა, იმწამს „რატომღაც“ ბირჟის სამეტყველო რეპერტუარის „მრიცხველი“ ირთვებოდა. განსხვავება კი „ჰალსტუხ-უჰალსტუხობაში“ იყო. დაახლოებით ისეთი, როგორიც სოფლის მეურნეობის მაშინდელი მინისტრის მიხეილ სვიმონიშვილის პერმანენტულად საშინაო, სასპორტო, უჰალსტუხო „დრეს კოდი“ თავის სამუშაო კაბინეტში ქართულ სამინისტროში, მედიასთან შეხვედრების დროს და მოსკოვში მისი ჰალსტუხიანი „დეფილე“ რუსეთის მთავარ სანიტარ გენადი ონიშჩენკოსთან სტუმრობისას ქართული ღვინის „დაბრუნების“ პერსპექტივებზე მოლაპარაკებების გამართვის დროს.

**დიმიტრი მედვედევსაც ვერ დავაბრალებთ რიტორიკის უბადლო ოსტატობას, მაგრამ მასაც აქვს ლოკალური მნიშვნელობის აფორიზმები. მაგალითად: „სახელმწიფოს ცივილიზებულობის ნიშანი მოხმარებული თევზის რაოდენობაა“, უფულოდაც შეგიძლიათ იმშობიაროთ, მაგრამ ჯობს – ფულით“ და მთლად რუსული „ჩარტების ჰიტი“ – „თავისუფლება არათავისუფლებაზე უკეთესია“ (სიტყვასიტყვით თარგმანი).**

ამბობენ, უინსთონ ჩერჩილის სიტყვათა მარაგი 12-ჯერ უფრო მდიდარი იყო, ვიდრე რიგითი ბრიტანელისა, მაგრამ იგი შექსპირის ენას ულმერთოდ ამახინჯებდაო; ბერძენი დემოსთენე კი მშვენიერი ორატორი იყო, მაგრამ გამართულად ვერ საუბრობდა, რადგანაც, სამედიცინო ტერმინი რომ ვიხმაროთ, ლოგონევროზი ჰქონდა. XXI საუკუნის პოლიტიკური ვაიორატორების კონკურსში კი ჯორჯ ბუშს ბადალი არ ჰყოლია – „ბუშიზმებზე“ აქაურები დღესაც იცინიან. სიტყვების თავისუფალი ნავიგაციის უუნარობაზე რომ აღარაფერი ვთქვა, მას ავსტრია ავსტრალიაში, სიკვდილით დასჯა („Death Penalty“ძ მემკვიდრეობაზე გადასახადში („Death Tax“ძ ეშლებოდა, ხოლო მდედრობით და მამრობით ნაცვალსახელებს ერთმანეთში მუდმივად ურევდა. ეს კიდევ არაფერი, რომ არა პენტაგონის გენერლების დროდადრო სტუპორში ვარდნა, როცა ქვეყნის მთავარსარდლისგან ესმოდათ მსჯელობა „ტაქტურ“ („Tactful“ძ და არა „ტაქტიკურ“ („Tactical“ძ იარაღზე და კარგი მრიცხველების („Pacemakers“ძ და არა მშვიდობისმყოფელების („Peacemakers“ძ შეკრების აუცილებლობაზე.

ამბობენ, ბარაკ ობამას უფრო მეტი და თანაც კვალიფიციური სფიჩრაიტერი და სფიჩკორექტორი ჰყავსო. მის საუბარს ეს ნამდვილად ეტყობა, თანაც მას ბუშისდარად დისლექსია არასოდეს მჭევრმეტყველების შესახებ მაშინვე გაქარწყლდა, როცა ცნობილი გახდა, რომ მისი მარჯვნივ – მარცხნივ თავის ტრიალი მარჯვნივ – მარცხნივ ჩამოკიდებული სასუფლიორე აპარატის მუშაობითაა განპირობებული. ოპოზიცია მისი არც ერთი ტექსტისგან, სენტენციისგან, სიტყვისგან, წერტილ-მძიმისგან ცოცხალს არაფერს ტოვებს, ცრუპენტელასა და ქვეყნის დამღუპველს უწოდებს, მაგრამ წინადადების გაუმართაობაში ჯერ არ შეუმჩნევია. ფაქტია ისიც, რომ როცა ობამა „უშპარგალკოდ“ საუბრობს, იგი მთლად ბუშისტურს არა, მაგრამ თვალშისაცემ ლაფსუსებს მაინც უშვებს. მაგალითად, როცა „ღამის შოუში ჯეი ლენოსთან ერთად“ მან განაცხადა, რომ ბოულინგს

# პოლიტიკური სამძიმარი, ანუ რით ჰგვანან და არ ჰგვანან ერთმანეთს ობამა და სააკაშვილი...

ისე ცუდად თამაშობს, როგორც ხალხი „სპეციალურ ოლიმპიურ თამაშებზე“. აშშ-ში ამ სასპორტო შეჯიბრებების პრეზიდენტი დემოკრატი არნოლდ შვარცენეგერის რესპუბლიკელი მეუღლის მარიას ძმა თიმ შრაივერია. პრეზიდენტის მიერ „ინვალიდი“ ადამიანების შეურაცხყოფის გამო საზოგადოებაში ლამის ჩაუმცხრალი დავიდარაბა ატყდა. ობამამ ბოდიში მოიხადა. ამას წინათ კი ქვეყნის პირველმა პირმა კვლავ პოლიტიკური არაკორექტულობა დაუშვა: ლას-ვეგასს გარყვნილების ბუდე უწოდა და ხალხს იქ გამგზავრებისგან თავის შეკავება ურჩია. ამაზე ამ ქალაქის მერი ხმამაღლა აღშფოთდა და პრეზიდენტისგან საჯაროდ ბოდიშის მოხდა მოითხოვა. ბოდიში ჯერჯერობით იგვიანებს. მაგრამ ხალხის სიყვარულს, მოთმინებასა და ინტერესესს რა ამოწურავს? „ჭეშმარიტი თაყვანისმცემლებისთვის“ ხომ ბოდიშის დაგვიანებას კი არა, აშკარა პოლიტიკურ ნაკლს ერთი გრამი წონაც კი არ აქვს. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ ქვეყნის პირველ პირებს ყოველთვის უძღვნიდნენ მხატვრულ ნაწარმოებებს: უკვე დაიწერა ოპერა „გორბაჩოვი“ (არაფერს ვამბობ მის წინამორბედებისადმი მიძღვნილ ნაშრომებზეძ, შექმნილია მიუზიკლი „იმედი!“ ბარაკ ობამას შესახებ. აფროამერიკელის ამერიკის პრეზიდენტად გახდომისთანავე სკოლებმა მისი სახელი დაირქვეს, გაჩნდა სიმღერები, ძეგლები, ბიუსტები (მადამ ტიუსოს მუზეუმს არ ვგულსხმობძ, მათ შორის – აფრიკაშიც. რამდენიმე თვის წინათ ინდონეზიაში, ჯაკარტის ერთ-ერთ სკვერში ობამას პატარაობის ამსახველი, პეპლიანი, ორმეტრიანი ძეგლი დადგეს. მერე იქაურმა მთავრობამ განაცხადა, რომ ხალხის უკმაყოფილების გამო უპრიანი იქნებოდა ეს ქანდაკება ფართო საჯარო მზერისთვის მოერიდებინათ და იმ სკოლის ეზოში გადაეტანათ, სადაც მომავალი, საამაყო პრეზიდენტი სწავლობდა. ასეც მოიქცნენ. არადა, ობამა თავის წიგნში წერს, რომ ინდონეზიაში ცხოვრებისას ოჯახს ფული საერთოდ არ ჰქონდა და ამიტომ იგი სკოლაში ვერ დადიოდა. თუმცა ეს „წვრილმანი“ რა მოსატანია?

**ბარაკ ობამა ძალიან ხშირად შტატიდან შტატში მოგზაურობს, ადმინისტრაციულ – ფინანსურ რესურსს ურიგოდ არ იყენებს, ძირითადად იმისთვის, რათა თავისი პარტიის წევრებისთვის არჩევნებში ძლიერი „პრომოუშენი“ თავად უზრუნველყოს. იგი მათ მჭევრმეტყველურად ლობირებს. მიზანი კეთილშობილურია: მის მიერ აგორებულ „იმედისა და ცვილილების“, ანუ მისეული რეფორმებისთვის ტალღებს კონგრესსა და სენატში დემოკრატების უმრავლესობა სჭირდება. ამიტომაც დადის „კარდაკარ“, მაგრამ პირდაპირი მოსყიდვის გზით მისი პარტია არასოდეს მოქმედებს. ეს ამ ქვეყანაში კრიმინალად ითვლება. საქართველოშიც დადიან კარდაკარ, მაგრამ – სხვაგვარად. მაგალითად, დედაქალაქის მერის არჩევნებამდე კარგა დიდი ხნით ადრე ქალაქის მერიის ბიუჯეტიდან სოციალურად შეჭირვებულ „მოხალისეებს“ 150-150 ლარს იმ პირობით შეჰპირდნენ, თუ ისინი არჩევნებზე ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის რამდენიმე მხარდამჭერს მოძებნიან ან მერყევს გადაიბირებენ. თანაც ეს „დავერბოვკებული“ ხალხი „მოხალისეს“ წინასწარ, „ნაღდად“ მიცემული ხმის დასტურად, ავანსად თუ მძევლად თავის პირადობის მოწმობასაც უნდა ანდობდეს, რათა მან ისინი (პირადობის მოწმობები) 150 ლარის გამცემ სალაროსთან წარადგინოს, როგორც თავისი ნაღვაწის უტყუარი საბუთი. გაჭირვების დროს კი ცოდვაა „მოხალისე“ მოყვასს არ დაეხმარო...**

შევარდნაძის პერიოდის „ლობიობის“, მერე კი „ბალაკლავა“ რიტორიკის შემდეგ, ქართულ პოლიტლექსიკაში მიხეილ სააკაშვილის სიტყვიერი ესკაპადები შემოქანდა. ფაქტია, რომ ქვეყნის პრეზიდენტს დისლექსია არ სჭირს (იგი ჰანს ქრისტიან ანდერსენსა და როკფელერსაც ჰქონდათძ, ქვეყნის ბიუჯეტი კი, როგორც ჩანს, მის არც სფიჩრაიტერებსა და არც იმიჯმეიკერებზე დიდად არ იხარჯება. ყოველ შემთხვევაში, მე ვერაფერი შევატყვე. „ჩარეცხილებს“, „ბუჩქებსა“ და „მაიკროსოფტმა შექმნა ქართული ანბანი“ და მისთანანს რომ თავი დავანებოთ, გავიხსენოთ უფრო „კრეატიული“, ასე ვთქვათ, უფრო პოზიტიური მომენტები: მაგალითად: „დათო კირკიტაძემ რომ დაცვის ბიჭს ბოდიში მოუხადა, არის თუ არა ეს კულტურული რევოლუცია?!“ ან კიდევ: „მე მეორედ მოსვლამდე დავაგებ ასფალტს!“. საპატრულო სამსახურის შექმნის იუბილეზე კი მიხეილ ნოკოლოზის ძემ განაცხადა: „პატრული“ ერთადერთი გადაცემა იყო გასულ წელს, სადაც კარგ ამბებს ამბობდნენ... ცუდი ამბების შესახებ“. მართალი გითხრათ, ამგვარი სიტყვიერი ობერტონების შემდეგ ობამას არაანტიკურ ორატორულ ნიჭს შეხიდებული სასუფლიორე ეკრანი „ნაკლის გადამფარავად“ კი არა, უმნიშვნელვანეს საჭირო საგნად მოგეჩვენება. ერთხელ ჩვენმა პრეზიდენტმა ხალხის მასებში მორიგი გასვლის დროს სკოლაში კარგი ნიშნების აუცილებლობაზე დიდაქტიკურად ისაუბრა, თანაც ხუთოსანი პოლიტიკოსი ნინო ბურჯანაძე შეაქო, მასის წინა მჭიდრო რიგებიდან გამოიხმო, გახარებულმა სპიკერის მიერ სკოლის წარჩინებით დამთავრება კიდევ ერთხელ აღნიშნა და დასძინა: „მე და ნინოს სულ უფრო მეტად მოგვწონს ერთმანეთიო!“... რა იცოდა, 2008-ში რა ელოდა, თორემ სიმპატიის ამ რაციონალურ გაძლიერებაზე ასე ღიად ხომ არ ისაუბრებდა?



ვფიქრობ, რომ „ეროვნულ ფსიქოლოგიას“ ყველაზე კარგად სტატისტიკოსები (დასაშვებ ცდომილებათა ფარგლებში - ზოგადი ტენდენციებიძ, ხოლო გამყიდვლები (აქ სიტყვათა კომბინაციას „სამშობლოს გამყიდველი“ არ ვგულსხმობძ, ანუ ბონ-ტონურად „სეილსმენები“ და „სეილსვუმენები“ – არაზოგადს, ტრივიალურად კონკრეტულ-ბანალუარს გვატყობენ. აქვე დავამატებდი, რომ ვაჭრობის ძსელის მუშაკებთან ერთად „ეროვნულის“ გახსნაში პრეზიდენტების მიერ წარმოთქმულ „კაპიტალურ“ და წვრილმან-წვრილმან ტექსტებს, წამოცდენებს, სიტყვებს, რეპლიკებსაც აქვს მნიშვნელობა ... საქმე სულაც არაა ენობრივ – ლიტერატურულ შეცდომებში, თუნდაც ვიქტორ იანუკოვიჩის მიერ ანტონ ჩეხოვის უკრაინელ პოეტად ანდა სიტყვა „გენოფონდის“ მაგივრად „გენოციდად“ მოხსენიებაში. საუბარია ადამიანიასა და პოლიტიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის ურთიერთმიმართებაზე. სხვათა შორის, პუტინმა ერთხელ ისიც განაცხადა, რუსეთი საერთაშორისო ცხოვრებაში პოლიტიკური მიზანშეწონილობის დანერგვის კატეგორიული წინააღმდეგიაო. მაგრამ ეს მისი სუვერენული დემაგოგიაა, ისეთივე, როგორიც მისი მარგალიტი „სუვერენულ დემოკრატიაზე“. ამ კაცის „პროტესტი“ კი კონტექსტუალურად დღევანდელ საერთაშორისო პოლიტიკაში ჩაკარგული ადამიანის ბედს კი არ უკავშირდებოდა, არამედ ერთპოლარული მსოფლიოს არსებობის თემასთან დაკავშირებულ მის დაუოკებელ ბოღმას.

ამბობენ, ამას წინათ ვაშინგტონში გამართულ გუბერნატორების მეჯლისზე, სადაც ბლომად იყვნენ ლამაზი ქალები უზარმაზარი სამკაულებით, კაცები სმოკინგებითა და ბრილიანტებით მოვარაყებული საათებით; სადაც ბევრი შამპანური და ღვინო დალია, ობამა გაფაციცებული თამადისდარად გაძღოლია სუფრასო. სამწუხაროდ, არაფერი ვიცი, ჩვენი პრეზიდენტის თამადობის შესახებ. სულ სხვა სფეროა პოლიტიკურ-იდეოლოგიური სათამადო ტექსტი. ობამაცა და სააკაშვილიც ისე არ წარმოთქვამენ სიტყვას, თავისი წინამორბედები, ანუ ცოცხალი წასულები „ტკბილად“ რომ არ მოიხსენიონ და შავთეთრი მკვეთრი კონტრასტის შექმნის ფონზე მომგებიანად არ გამოჩნდნენ. ობამას საპრეზიდენტო რანგში (საარჩევნო მარათონის დროს, არც ერთ მის სიტყვიერ პიკირებას წინა ადმინისტრაციის უკრიტიკოდ არ ჩაუვლიაძ ბუშის მოხსენიების მხოლოდ ერთი წლის სტაჟი აქვს, მიხეილის მიერ კი შევარდნაძის გვარის შეფარულად თუ ღიად ციტირების ოფიციალური წელთაღრიცხვა, აგერ უკვე მეშვიდე გაზაფხულს ითვლის. ბუშის დროს ამერიკა უშუქობას არ უჩიოდა, ამიტომ ეს კომპონენტი ბარაკ ჰუსეინ ობამას „სფიჩებში“ არ ისმის. ამერიკაში ჭექა-ქუხილის და ათასგვარი ქარბორბალების დროს დენი შეიძლება მართლაც წავიდეს, მაგრამ მცირე დროით. ამერიკის პრეზიდენტი, ხანდახან ხალხისთვის ცოტა გაუგებარ მინიშნებებს აკეთებს, როცა წარუმატებლობას აშშ-ის დედაქალაქ ვაშინგტონს (იგულისხმება პოლიტიკური და ეკონომიკური მმართველი წრეები, ელიტა, ბუნებრივია, „თეთრი სახლი“, კაპიტოლიუმიძ აბრალებს, თითქოს თავად არ იყოს ვაშინგტონის კი არა, მთელი ამერიკის პირველი კაცი და თავის ოჯახთან, სიდედრის ჩათვლით და მოსამსახურეთა შთამბეჭდავი რაოდენობის პერსონალთან ერთად სწორედ „თეთრ სახლში“ არ ცხოვრობდეს. მიხეილ სააკაშვილი კი თბილისს დიდად არ ემდურის და რეფორმების ხელისშემშლელ ფაქტორად დედაქალაქი, ყოველ შემთხვევაში ოფიციალუარად, არ დაუსახელებია.

**2010 წელს, სხვა უამრავ უბედურებასთან ერთად, ორი ტრაგედიაც მოხდა: ერთი „მასობრივი“ და ამერიკიდან არც ისე შორს, მეორე – ერთი ჩვენებურის სიკვდილი, აქვე, ნიუ-იორკის ლამის მოსაზღვრე კანადაში. ორივე დიდი და პატარა ქვეყნის პრეზიდენტის სიტყვებში აისახა. ბარაკ ობამა ჰაიტის ტრაგედიას თანაგრძნობითა და შთამბეჭდავი ჰუმანიტარული დახმარების გაგზავნით გამოეხმაურა. „სფიჩის“ ბოლოს კი ტაშის გრიალის დამმსახურებელი სიტყვებიც წარმოთქვა: ჩვენ ჰაიტს იმიტომ ვეხმარებით, რომ ჩვენ ამერიკელები ვართო!.. 250 ათასი ჰაიტელის გვამი საკმარისი არ იყო იმისთვის, რომ პირველი პირის სიტყვაში სახელმწიფოს, ერის სიდიადესა და სხვათა პატრონაჟის უნარს პოლიტიკურად არ გასმოდა ხაზი...**

ვანკუვერში გამართული ზამთრის ოლიმპიადის ერთ-ერთი ჩქაროსნული გზის გაუმართაობას – ახალგაზრდა ადამიანის – ნოდარ ქუმარიტაშვილის სიცოცხლე შეეწირა. სააკაშვილმა კანადაში ქართულ დიასპორასთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ უწინ (ბუნებრივია, ედუარდ ამბროსის ძის პერიოდი იგულისხმაძ ამას არავინ არაფრად ჩააგდებდა; რომ ახლა საქართველოს „პატრონი“ ჰყავს და ა.შ. „დღეს გადავხედე კანადურ პრესას და ყველამ ჩვენ დაგვიჭირა მხარი, პრაქტიკულად. რადგან უპატრონო ხალხი ჩვენ არ გვყავს“ ... ანუ სხვა სიტყვებით, სომალელი რომ დაღუპულიყო (ღმერთმა დაიფაროსძ, მაგალითად, ზაფხულის ოლიმპიადაზე, ამას პატივცემული ოლიმპიური საზოგადოება ოლიმპიური სიმშვიდით ერთ ყურში შეუშვებდა და მეორედან გაუშვებდა? მთავარია პატრონი, რომელიც საქართველოს კვალიფიციური ჰყავს – ქართველიც, ამერიკელიცა და... ფრანგის დასახელებისგან ამ ჯერზე თავს შევიკავებ. ამერიკელმა პრეზიდენტმა – ჩვენ კვლავ ტრადიციულად შეგვიძლია სხვათა დახმარება და „აზორდაჟით“ თრევაო, ქართველმა – ჩვენ თვალში უკვე აღარავის ვეპატარავებითო, ჩვენ მკვდრებს ჩვენვე ვპატრონობთო, სამართალს ვეძებთო, სხვამ, ანუ უპატრონომ იკითხოსო! პოლიტიკური სამძიმარი ინგლისურად და ქართულად ისევე გაისმა, როგორადაც მოსალოდნელი იყო – პოლიტიკურად. როგორც ვიქტორ ჩერნომირდინმა მოსწრებულად თქვა: „გვინდოდა უკეთესად, მაგრამ გამოგვივიდა – როგორც ყოველთვის“...

**ია მერკვილაძე,**
ნიუ-იორკი, აშშ

თემის გაგრძელება

***გაზეთ „რეზონანსის“ 2010 წლის 3 მარტის ნომერში გამოქვეყნდა პროფ. ლევან ალექსიძის წერილი სათაურით: „აგვისტოს ომის დროს საქართველოს საერთაშორისო სამართლის არც ერთი ნორმა არ დაურღვევია“, რომელშიც რესპონდენტი ბრალს დებს ქალბატონ ჰეიდი ტალიავინის, რომ „ტალიავინი შებოჭილი იყო დასავლეთ ევროპის პოზიციით, რომელიც არ იყო მოწადინებული, რათა რუსეთი სამარცხვინო ბოძზე გაეკრა.“ უფრო მეტი: „ტალიავინი არის იგივე აზრის ადამიანი, რა აზრისაც არიან მეცნიერულ მანტიაში გახვეული მეცნიერები და საქართველოში რუსეთის იმპერიალიზმის მოტრფიალე ადამიანები“.***

***ინტერვიუს ამ პასაჟის გამო პროფ. ბიძინა სავანელს ვეწვიეთ და ინტერვიუ ვსთხოვეთ.***

**— ბატონო ბიძინა, რა კომენტარს გაუკეთებდით პროფესორ ლევან ალექსიძის ინტერვიუს ზემოაღნიშნულ პასაჟს?**

— დასაწყისში თავს შევიკავებ ლევან ალექსიძეს ხელაღებით ბრალი წავუყენო იმაში, რომ, პირიქით, ის იყო და არის **მეცნიერულ მანტიაში გახვეული მეცნიერი და საქართველოში რუსეთის იმპერიალიზმის მოტრფიალე პირი.** სამეცნიერო და მოქალაქეობრივი ეთიკა მკარნახობს ჯერ ფაქტები წარვუდგინო მკითხველს და შემდეგ მან თვითონ გასცეს პასუხი კითხვაზე: ვინ ვინ არის?

**ფაქტი პირველი.** თავად (ბრალმდებელს) და, რაც მთავარია, საზოგადოებას უნდა განვუმარტო, რომ **ტალიავინის კომისიის დასკვნა ბუნებაში არ არსებობს**. არსებობს ევროკავშირის წევრი-ქვეყნების მთავრობათა მიერ ოფიციალურად დელეგირებული პირების მიერ საქართველოში კონფლიქტის ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის მოხსენება. (ქალბატონი ჰეიდი ტალიავინი მისიის მხოლოდ თავმჯდომარე გახლდათ. ის პროფესიით დიპლომატია).

მისიის საქმიანობას ძირითადად წარმართავდა კომიტეტი 6 პირის შემადგენლობით ევროკავშირის ხუთი სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის მეცნიერებათა 3 დოქტორი და პროფესორი. კომიტეტს თავმჯდომარეობდა გაეროს გენერალური მდივნის მოადგილე და სამშვიდობო ოპერაციების დეპარტამენტის თავმჯდომარე ჟან-მარი გუენო (საფრანგეთი).

მისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა 5 სამხედრო ექსპერტი, სამართლის 6 ექსპერტი (აქედან 5 დოქტორი და პროფესორი), 3 ისტორიკოსი (აქედან 2 პროფესორი და დოქტორი), 5 პოლიტიკური ანალიტიკოსი (აქედან 3 პროფესორი და დოქტორი).

მისიას აქტიურად ეხმარებოდა აშშ-ის, საფრანგეთის, გერმანიის, უკრაინის, სომხეთის, თურქეთის, შვეიცარიის და აზერბაიჯანის მთავრობები, რომლებიც მას სათანადო ინფორმაციას და სხვა მასალებს აწვდიდნენ. მისიის საქმიანობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა, როგორიც არის: გაერო, ნატო, ლტოლვილთა გაეროს უმაღლესი კომისარიატი, ეუთო, ევროპის კავშირი, წითელი ჯვარი, ამნესტი ინტერნასიონალი, ჰიუმან რაიტს ვოტჩი, საერთაშორიო კრიზისის ჯგუფი.

**ფაქტი მეორე.** თავად (ბრალმდებელს) და, რაც მთავარია, საზოგადოებას უნდა განვუმარტო, რომ კომისიასა და მისიას შორის პრინციპული სხვაობაა (საკმარისია ჩავიხედოდ სტუდენტებისთვის განკუთვნილ დიპლომატიური სამართლის ლექსიკონში და ამაში ადვილად დავრწმუნდებით).

**ფაქტი მესამე.** თავად (ბრალმდებელს) და, რაც მთავარია, საზოგადოებას უნდა განვუმარტო, რომ არ არსებობს „კომისიის დასკვნა“, რადგან საგამოძიებო სფეროში დასკვნას მხოლოდ პროკურორი იძლევა (ეს იცის იურიდიული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა).

**ფაქტი მეოთხე.** თავად (ბრალმდებელს) და, რაც მთავარია, საზოგადოებას უნდა განვუმარტო, რომ საქართველოში კონფლიქტის ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიას ევროპის კავშირის საბჭომ განუსაზღვრა ორი ამოცანა: 1. საქართველოში კონფლიქტის წარმოშობის და მიმდინარეობის **მიზეზების** გამოძიება, მათ შორის საერთაშორისო სამართლის, ჰუმანიტარული სამართლის და ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით; და 2. საერთაშორისო სამართლის, ჰუმანიტარული სამართლის და ადამიანის უფლებათა კონტექსტში არსებული **ბრალდების** გამოძიება (იხ. ევროპის კავშირის 2008 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილების პ. 2).

**ფაქტი მეხუთე.** (ბრალმდებელი) აცხადებს, რომ დასკვნაში(?) **ფაქტები სწორად არის მოყვანილი**. აი სწორედ აქ გაამჟღავნა თავისი ვინაობა ლევან ალექსიძემ. უცვლელად მომყავს მისიის მიერ დადასტურებულად ცნობილი ფაქტები.

„ქართული შეიარაღებული ძალების მიერ 2008 წლის 7-8 აგვისტოს ღამით ცხინვალის და მისი მიმდებარე სოფლების დიდმასშტაბიანი და მასირებული დაბომბვით დაიწყო ფართომასშტაბიანი სამხედრო კონფლიქტი საქართველოში.

# სად ვეძებოთ ჩამარხული ძაღლის თავი?

მისიას არ აქვს საკმარისი მტკიცებულება იმისა, რომ დაეთანხმოს ქართული მხარის ბრალდებას, რომ აგვისტომდე რუსული მხარიდან ადგილი ჰქონდა შეიარაღებული ძალების შემოსვლას სამხრეთ ოსეთში. ამიტომ, ქართული მხარის მიერ ძალის გამოყენება რუსეთის სამშვიდობო სამხედრო ძალის წინააღმდეგ იყო **საერთაშორისო სამართლის დარღვევა.** რუსეთს უფლება ჰქონდა დაეცვა სამშვიდობოები შეიარაღებული ძალის გამოყენებით თავდასხმის პროპორციულად. ამიტომ რუსეთის მხრიდან თავდაცვის ოპერაციის ჩატარება კონფლიქტის პირველ ეტაპზე კანონიერი იყო.

კონფლიქტის ზონაში ეუთოს, ემნესტი ინტერნეშალის და ჰიუმან რაიტს ვოტჩის დამკვირვებლების მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი მტკიცებულებებით დასტურდება ქართული მხრიდან გრადით და კასეტური ბომბებით ცხინვალის საცხოვრებელი უბნების დაბომბვა. **პრეზიდენტ სააკაშვილის 2008 წლის 7 აგვისტოს 23 საათზე და 35 წუთზე ცხინვალზე სამხედრო შეტევის შესახებ გაცემულმა ბრძანებამ მცირე ინტენსიობის სამხედრო კონფლიქტი გადააქცია ფართო მასშტაბიან შეიარაღებულ კონფლიქტად. ამიტომ სააკაშვილის ეს ქმედება კონფლიქტის სამართლებრივი ანალიზის ამოსავალი წერტილია.“**

ამრიგად, ხელისუფლების დამცველი ლევან ალექსიძე შეფარულად მის ბრალმდებლად მოგვევლინა (აშკარაა, რომ მან ეშმაკურ ხერხს მიმართა: უკან გასაქცევად რუსეთის „ხიდი არ დაწვა“).

**შესრულა თუ არა ევროპის კავშირის საბჭოს მიერ დასახული მეორე ამოცანა, ანუ მოიძია თუ არა ფაქტები, რომლებიც გახდნენ კონფლიქტის ესკალაციის მიზეზები?**

დიახ, მისიამ ასევე შესარულა ევროპის კავშირის საბჭოს მიერ დასახული მეორე ამოცანა და მოიძია ფაქტები, რომლებიც გახდნენ კონფლიქტის ესკალაციის მიზეზები.

უცვლელად მომყავს მისიის მიერ დადასტურებულად ცნობილი ფაქტები, რომლებიც გახდნენ ქართული მხრიდან კონფლიქტის ესკალაციის მიზეზები.

**ფაქტი პირველი.** ქართული მხრიდან 2008 წლის ზაფხულის დასაწყისში აფხაზეთის კონფლიქტურ ზონაში საჰაერო დაზვერვითი ფრენების წარმოება.

**ფაქტი მეორე.** ქართული მხრიდან სამხრეთ ოსეთში ლოკალური ურთიერთცეცხლის გახსნაში თანამონაწილეობა.

**ფაქტი მესამე.** შეერთებული შტატების ფართომასშტაბიანი ჩართულობა სამხედრო ძალების აღმშენებლობაში.

**ფაქტი მეხუთე.** ქართული მხარის მიერ სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ალტერნატიული ადმინისტრაციის შექმნა.

მისიამ ასევე შესარულა ევროპის კავშირის საბჭოს მიერ დასახული ამოცანა და მოიძია საერთაშორისო სამართლის, ჰუმანიტარული სამართლის და ადამიანის უფლებათა კონტექსტში ორივე მხარის, მათ შორის ქართული მხარის, მიმართ არსებული ბრალდებები.

უცვლელად მომყავს ამონარიდი მისიის მოხსენებიდან.

**„სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის დროს ქართული მხარის მიერ შეიარაღებული ძალის გამოყენება შეუთავსებელია გაეროს წესდებასთან შემდეგი მიზეზების გამო: პირველი. 1992 წელს საქართველოსა და რუსეთს შორის სოჭის შეთანხმების თანახმად მხარეებმა ვალდებულება იკისრეს გაეროს წესდებისა და ჰელსინკის დასკვნითი აქტის მიმართ, რაც ქართულ მხარესაც უკრძალავდა სამხრეთ ოსეთში ძალის გამოყენებას. მეორე. ქართულმა მხარემ 1994 წლის შეთანხმებით ვალდებულება იკისრა არ გამოიყენოს ძალა სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ. მესამე. 1996 წლის 16 მაისს ხელმოწერილი მემორანდუმის თანახმად ქართულ-ოსურ კონფლიქტთან დაკავშირებით ქართულმა მხარემ ვალდებულება იკისრა არ გამოიყენოს ძალა. ამასთან ჩამოყალიბდა მშვიდობის დამყარების სამართლებრივი მექანიზმი. ძალის გამოყენება ქართული მხარის მიერ, რაც გამოიხატა ცხინვალის და მიმდებარე სოფლების მიმართ გრადის და კასეტური ბომბების გამოყენებაში, შეიძლება შეფასდეს როგორც აგრესია გაეროს 3314 რეზოლუციის მუხლი 3(ა)-ს თანახმად. დადასტურების შემთხვევაში ქართული მხარე შეიძლება მხილებული იქნეს შეიარაღებული ძალის გამოყენებაში სამოქალაქო ობიექტების და შეიარაღებული ძალის გამოყენებაში მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ანუ ომის დანაშაულში.“**

ამრიგად, ხელისუფლების დამცველი ლევან ალექსიძე შეფარულად მის ბრალმდებლად მოგვევლინა (აშკარაა, რომ მან აქაც ეშმაკურ ხერხს მიმართა: უკან გასაქცევად რუსეთის „ხიდი არ დაწვა“).

**— შესრულდა თუ არა ევროპის კავშირის საბჭოს მიერ დასახული მეორე ამოცანა, ანუ მოიძია თუ არა მისიამ ფაქტები, რომლებიც შეეხება ჰუმანიტარული სამართლის დარღვევებს?**

მადლობა შეკითხვისთვის. ალექსიძის მიერ ხელისუფლების შეფარულ მხილებას დაემატება მისი უცოდინარობა საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში.

საქმე ისაა, რომ მისია ორივე მხარეს ბრალს დებს არა მარტო საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევაში, არამედ აგრეთვე ომის დანაშაულში, კერძოდ სამოქალაქო ობიექტების და მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ შეიარაღებული ძალის გამოყენებაში, რაც განეკუთვნება არა საერთაშორისო ანუ სახელმწიფოთაშორისო სამართალს, არამედ ჰუმანიტარული სამართლის სფეროს. ალექსიძეს განვუმარტავ, რომ საერთაშორისო სამართლის დაცვის ობიექტია სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები, ხოლო ჰუმანიტარული სამართლისა – ძირითადად მშვიდობიანი მოსახლეობა და სამოქალაქო ობიექტები. აშკარაა, რომ საერთაშორისო სამართალი და ჰუმანიტარული სამართალი ერთმანეთისგან ალექსიძეს დღემდე ვერ გაუმიჯნია, ისევე როგორც საერთაშორისო სამართალი და ადამიანის საყოველთაო უფლებათა სამართალი. ცხადია, რომ ალექსიძე საბჭოთა კავშირში, კერძოდ, 50-60-იანი წლების მარქსისტულ-ლენინური სამართლებრივი იდეოლოგიის სივრცეში ჩარჩა.

თუმცა მისია ქართულ მხარეს ბრალს სდებს ცხინვალის და მისი მიმდებარე სოფლების სამოქალაქო ობიექტების და მშვიდობიანი მოსახლეობის (საიდანაც მას საშიშროება არ ელოდა) წინააღმდეგ გრადის და კასეტური ბომბების გამოყენებაში, მაგრამ ის რუსულ მხარეს ომის დანაშაულში ასევე ამხელს, კერძოდ იმაში, რომ **რუსეთმა გადაკვეთა ადმინისტრაციული საზღვარი, შეიარაღებული ძალა გამოიყენა სამოქალაქო ობიექტების და მშვიდობიანი მოსახლეობის (საიდანაც მას საშიშროება ბუნებრივია არ ელოდა) წინააღმდეგ, რამაც ქვეყნის ბევრ ადგილას გამოიწვია სერიოზული ნგრევები, და რომელმაც უკიდურეს დონეს საქართველოს ბევრ ქალაქსა და სოფელში მიაღწია.**

**— როგორია საბოლოო დასკვნა?**

— მისია საბოლოოდ დაასკვნის, რომ „ქართული და რუსული მხრიდან ადგილი ჰქონდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის და ადამიანის უფლებების დარღვევას, რაც ბევრ შემთხვევაში შეიძლება შეფასდეს როგორც **ომის დანაშაული**... ამრიგად, 2008 წლის აგვისტოში ადგილი ჰქონდა **შიდა შეიარაღებულ კონფლიქტს** ერთი მხრივ ქართველებსა და მეორე მხრივ ოსებს და აფხაზებს შორის, და **საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტს — საქართველოსა და რუსეთს შორის.“**

**— როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები?**

— აგვისტოში ჩადენილი ომის დანაშაულის საქმეს „ომის სტატუტის“ შესაბამისად საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო განიხილავს, რომელიც ყველა შემთხვევაში ორივე მხარეს დაადანაშაულებს, მაგრამ პასუხისმგებლობის ზომა – 30 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ან უვადო პატიმრობა – დამოკიდებული იქნება ბრალის ხარისხზე და შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებზე, რომელსაც საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო თემიდას სასწორზე აწონის და მახვილს ამის შესაბამისად „მოუქნევს“ პერსონალურად პასუხისმგებელ პირებს.

**— და მაინც, კერძო საკითხებს, რომ თავი დავანებოთ, ბატონო ბიძინა, ისმის მთავარი, საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კითხვა: შეიძლებოდა თუ არა აგვეცილებინა: ომი რუსეთთან, აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ რუსეთის მიერ ოკუპაცია და მათი ცნობა?**

— ჯერ ერთი, საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ ზონაში შეჭრით, იქ სამოქალაქო ობიექტების და მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ შეიარაღებული ძალის გამოყენებით, ხელისუფლებამ საბაბი მისცა **გამოუსწორებელ იმპერიალისტს — რუსეთის მთავრობას** — საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების უხეში დარღვევით აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ ოკუპაცია და მათი ცნობა მოეხდინა. ამ ფრაზას 2008 წლის 27 აგვისტოდან საგაზეთო სტატიებში და სატელევიზიო გამოსვლებში სიტყვასიტყვით ვიმეორებ. ალექსიძე კი მხოლოდ ახლა, 2010 წელში „აჭიკჭიკდა“. რატომ?

მეორე. ომი და რუსეთის მიერ აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ ოკუპაცია და მათი დამოუკიდებლობის ცნობა შეიძლებოდა თავიდან აგვეცილებინა, თუ არა **ხელისუფლებაში მოსული ახალგაზრდების რადიკალური და პათოლოგიურად აფექტირებული ნაწილის საომარი ჟინი (შეიძლება, სხვა შეფარული განზრახვა), რის გამოც აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ დაბრუნების საკითხმა გაურკვეველი დროით გადაიწია, თუ უარესი არ მოხდა!...** შედეგიდან თუ გამოვალთ, ომიდან გამარჯვებული პოლიტიკურად რუსეთი და დემოგრაფიულად სომხეთი გამოვიდა, რადგან დღეს აფხაზეთში სომხები ეროვნულ უმრავლესობას წარმოადგენენ. ამიტომაც ხომ არ იყო ალექსიძე ლტოლვილთა უპირობო დაბრუნების მანდატით სოხუმის და ცხინვალის რეგიონებში რუსეთის დე ფაქტო საოკუპაციო ჯარის საქართველოს არამოსაზღვრე ქვეყნებიდან გაეროს სამშვიდობო შეიარაღებული ძალებით ჩანაცვლების სასტიკი წინააღმდეგი!

მესამე. ომი და რუსეთის მიერ აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ ოკუპაცია, და მათი დამოუკიდებლობის ცნობა შეიძლებოდა თავიდან აგვეცილებინა, **რომ „შვილებს“ თავის დროზე „მამებისთვის“ დაეჯერებინათ.** და აი რატომ.

საქმე ისაა, რომ ევროპის საპარლამენტო ასაბლეამ 2009 წლის 28 იანვარს მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმად აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“ უნდა შეიცვალოს სამშვიდობოების ფორმატი და მოხდეს სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაცია ანუ უნდა მოხდეს ის, რასაც საინიციატივო ჯგუფში შემავალი ორი აკადემიკოსი და 5 პროფესორი, და მათთან მიერთებული სამი მოთავე სახელმწიფო უნივერსიტეტის 52 პროფესორი 2004 წლიდან დღემდე მოითხოვს. ამ მოთხოვნის გამო ალექსიძემ 2005 წელს უვიცი და უმეცარი მიწოდა, ხოლო ა.წ. 15 თებერვალს გაზეთ „24 საათის“ ნომერში კოლაბორაციონიზმში ბრალი დამდო. ამით მან შეურაცხყოფა არა მარტო საინიციატივო ჯგუფს და 52 პროფესორს მიაყენა, არამედ შეფარულად **ევროპის საპარლამენტო ასაბლეა ალექსიძემ უმეცართა და უვიცთა თავყრილობად გამოაცხადა.** და ამ დროს, ეს ის ევროპის საპარლამენტო ასაბლეაა, რომელმაც „დაგმო 2004 წლის 6 თებერვლის საკონსტიტუციო ცვლილებებით პრეზიდენტისთვის უზომო ძალაუფლების მინიჭება და აჭარისთვის ავტონომიური უფლებების შეზღუდვა, რასაც ევროპის საპარლამენტო ასაბლეის აზრით უმძიმესი შედეგები შეიძლება მოჰყვეს.“ წინასწარმეტყველება ქართველი ერისთვის საუბედუროდ ახდა!

იხ. 9 გვ.

საუკუნისგან შობილი

# მე პირადად ვიცნობდი...

*იმდენი წამიკითხავს, მომისმენია და მიფიქრია ამ კაცის დასაბამიდან ბრძოლით გავლილი ცხოვრების ნარ-ეკლიან გზაზე, რომ ასე მგონია მართლა პირადად ვიცნობდი მას... საშუალო ტანის, სიმპატიური, ულვაშებით დამშვენებული, მამაპაპური ჩიბუხით ხელში. მუდამ ფრენჩი ეცვა, შარვალი ჩექმებში ჰქონდა ჩატანებული. ჭირივით ეზარებოდა პიჯაკი, კოსტიუმი, რომელიც, ფაქტობრივად, ქვეყნიერებაზე ყველა მამაკაცის სავიზიტო სამოსელია, არასოდეს არ ცმია. ეს ისაა, რაც თვალში გეცემოდათ. სიარულით ძალიან მაგონებდა ცნობილ ფრანგ მსახიობს ჟან გაბენს. სხვას ვერავის ვერაფერში ვერ ვამსგავსებდი, დანარჩენი ყველაფერი თავისი, განსხვავებული, გამორჩეული ჰქონდა; მან სიცილი არ იცოდა, მხოლოდ იღიმებოდა, მაგრამ ეს ღიმილი, როგორც ამბობენ, ბევრს ფასობდა. მეფური სიდარბაისლე, დინჯი მოძრაობა და ოლიმპური სიმშვიდე მოკრძალებასა და მორჩილებას იწვევდა. მარჯვენა ხელის მოზომილი აღმართვით მხედრული მისალმების გამოხატვა გატყვევებდა და შენი ხელებიც თავისით იწევდნენ მაღლა... ტაშის დასაკრავად; მისი, ყველასაგან განსხვავებული მოგუდული ხმის გაგონება რაღაც სიახლის მაუწყებელი იყო. ქართული აქცენტი მსმენელის ყურადღებას კიდევ უფრო ძაბავდა. ჩვენში, თანამემამულეებში კი რომელიღაც იდუმალ გრძნობებს აღვიძებდა...*

ბევრს მიაჩნდა, რომ სტალინს ჰიპნოზის უნარი ჰქონდა. აკი, ასე ძალიან ყოფილა დაახლოებული ისეთ ცნობილ ჰიპნოზიორებთან, როგორებიც იყვნენ მესინგი და გურჯიევი, რომელთაც აკრძალულ ზონებში არავითარი პრობლემები არ ექმნებოდათო, ამბობენ. მაგალითად, მესინგი კი არ იპარებოდა, არამედ თავისუფლად გადიოდა, თურმე, საკონცენტრაციო ბანაკიდან, ხოლო გურჯიევი ტიბეტის მისტიკურ სამყაროში ისე თამამად შეაბიჯებდა ხოლმე, თქვენი მოწონებული და, მგონი, კარგა ხანი ცხოვრობდა კიდეც იქ. ამიტომ ყველას სჯეროდა მისი, ამიტომ უსიტყვოდ ასრულებდნენ მის დავალებებს, ყოველივე ამის გამო ლოცულობდნენ მასზე, ამიტომ უყვარდათ ასე ძალიან, ამიტომ ითმენდნენ ყველაფერს, ამიტომ ეთანხმებოდნენ უმალ, ამიტომ... ამიტომ... ამიტომ...

არა, არა, აქ ჰიპნოზი არაფერ შუაშია. მართალია, მას ბუნებრივად მომადლებული ჰქონდა დიდი ენერგეტიკა და ფართო ბიოველი, მაგრამ, ცნობილ ასტროლოგებს მიაჩნიათ, რომ ბევრი რამ იმ ადამიანური მონაცემებით აიხსნება, რასაც ქარიზმა ჰქვია. მას ჰქონდა ისეთი ქცევები, რომელიც შეიძლება მისტიკას, რაღაც ზებუნებრივს მიაწერო, მაგრამ არამიწიერით გამოწვეული არ ყოფილა ის. მარშალი ვასილევსკი ამბობს: დაინიშნებოდა თუ არა რაიმე თანამდებობაზე, უმალ ვგრძნობდით საქმეში მის ხელწერას არა მისტიკით, არა ჰიპნოზის შედეგად, არამედ, უბრალოდ, მასავით სხვა ვერავინ წერდა — ყველაფერი, რისი თქმაც უნდოდა, ქაღალდზე გასაგებად და ამომწურავად გადაჰქონდა.

უინსტონ ჩერჩილი ამბობს — დარბაზში მის შემოსვლას უმალვე ვგრძნობდით და ყველა ფეხზე ვდგებოდით... თითქოს ვიღაცამ გვიბრძანაო. გაბრაზებული სტალინის გაძლება ყველას არ შეეძლო, წერს მარშალი მერეცკოვი, ისეთი თვალებით შეგხედავდა, ადგილზე გაგაშეშებდა, შენ უკვე დასჯილი იყავი.

ანდრეი გრომიკო ამბობს — მას პაუზებით, თანაც, დინჯად ლაპარაკი სჩვეოდა, რა სასწრაფო საქმეც უნდა ჰქონოდა, ფეხს არ აუჩქარებდა, მაგრამ ყველაფერს დროზე აკეთებდა, ყველაფერს ასწრებდა, გეგონებოდათ, მასთან ერთად დროც ჩერდებაო.

ისააკ დოიჩერს ჩაუწერია ერთ-ერთი ინგლისელი გენერლის ნათქვამი — ის ძალზე ხმადაბლა ლაპარაკობდა, მაგრამ რაკი აუდიტორიამ იცოდა, რომ ის რაღაც მნიშვნელოვანს, საყურადღებოს იტყოდა, ყველა სმენად იქცეოდა და მისი არც ერთი სიტყვა არ იკარგებოდაო.

ამასთან ერთად უცნაურიც იყო, რამდენადმე პარადოქსულიც.

ვიცოდით, რომ მკაცრი იყო, ზოგჯერ, ულმობელიც, დანაშაულის პატიება არ უყვარდა, მაგრამ ხანდახან ისეთ რამეზე დახუჭავდა თვალს, გაოცდებოდიო, წერს გენერალი შტემენკო. ერთხელ პოლკოვნიკი პოპოვი დაუბარებია თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით, მაგრამ, ის რაღაც შემთხვევის გამო, ორი წუთით გვიან გამოცხადებულა. ველოდებოდით საშინელ, სასტიკ განაჩენს, მაგრამ სტალინს გაუვლ-გამოუვლია, ჩიბუხი გაუბოლებია — შეცდომები ყველას მოგვდის, მთავარია, მხრებზე თავი გვებას, გააფორმეთ ბრძანებაო, დაუბარებია გენერალური შტაბის უფროსისთვის და ოთახიდან გასულა.

კონსტანტინე როკოსოვსკი იგონებს, როგორმა ჟრჟოლამ აიტანა, როცა ადიუტანტმა მოახსენა, სტალინი რეკავსო: ეს იყო 43-ის ზაფხული, როცა შეტევის გარდა სხვა ოპერაცია უკვე წარმოუდგენლად ითვლებოდა. უპასუხისმგებლობა გამოვიჩინე, — ამბობს კ. როკოსოვსკი — მისი ნებართვის გარეშე ჯარი უკან დავხიე. მასთან დასაკავშირებლად დრო არ მრჩებოდა, რაც თითქოს საპატიო მიზეზი იყო, მაგრამ, ფრონტზე, ისიც მასთან, ასეთი რამ შეუძლებლად ითვლებოდა. რა გზა მქონდა, ყურმილი უნდა ამეღო. მოვახსენე, რომ მე, ამა და ამ არმიის სარდალი, ესა და ეს მარშალი მზად ვიყავი მომესმინა უმაღლესისთვის. პასუხმა ოდნავ დააგვიანა, რაც ჩემთვის საუკუნედ იქცა, მაგრამ მოულოდნელად მომესმა მისი ამჯერად უკვე საოცრად თბილი ხმა, მამაშვილური და მზრუნველი სიტყვები. ამის შემდეგ არაფერი მახსოვს, როგორც მითხრეს, კარგა ხანი ხმა არ ამომიღია.

ეს გახლდათ ის სიმამაცით ცნობილი კ. როკოსოვსკი, რომელსაც სტალინი მოფერებით ბაგრატიონს ეძახდა და ყოველთვის სახელითა და მამის სახელით მოიხსენიებდა. ცნობისათვის, ეს პატივი ჰქონდა კიდევ ერთ პიროვნებას —მარშალ შაპოშნიკოვს. მეტს არავის.

სტალინის თანამებრძოლები ჰყვებიან მოსკოვის ცირკში ერთად ყოფნის დროს მომხდარ შემთხვევაზე. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ყველანი შესულან კულისებში, რათა წარმატება მიელოცათ შემსრულებლებისათვის. აღმოჩნდა, რომ ვოლიერში ვერ შეუყვანიათ ერთი გაავებული ვეფხვი და სტუმრები გაღიზიანებული მხეცის წინ აღმოჩნდნენ. ყველანი უკან გაცვენილან, მარტო სტალინი დარჩენილა ერთ ადგილას ნადირის პირისპირ. ბედზე, მალე მოუსწრია მომთვინიერებელს და ვეფხვიც ღრენა–ღრენით შეუყვანიათ გალიაში. იქ მყოფთ სახეზე ფერი არ ედოთ, სტალინმა კი ხელი გაუწოდა დამფრთხალ მწვრთნელს და თბილად მიულოცა წარმატება, მაგრამ ამ უკანასკნელს ხელის ჩამორთმევის თავი არ ჰქონია, ალბათ, არც მილოცვის სიტყვები გაუგონია. აქ თითქოს არის ჰიპნოზის ნიშნებიო, ამბობენ, მაგრამ, ალბათ იმიტომ, რომ ისინი ამ ეპიზოდის თხრობის დროს ცოტას აჭარბებენ, თითქოს ბელადმა თვალებით მონუსხა მხეცი და იმიტომ არ დაესხა იგი თავს დაუპატიჟებელ სტუმრებს. ცხადია, ასე არ ყოფილა — თანამებრძოლები უარყოფენ ყოველგვარ მისტიკას და ამბობენ: მას საკუთარი თავის კონტროლის საოცარი უნარი ჰქონდა, ალბათ, თავი ხელში აიყვანა და არ გაინძრა, რამაც ნადირზე უთუოდ დამამშვიდებლად იმოქმედაო (მაგრამ იმ გამძვინვარებული ნადირის ყურებას, გაძლება არ უნდოდა?ძ.

ერთხელაც მარშალი გოლოვანოვი სუფრასთან მოხვედრილა, სადაც მხოლოდ სტალინი და ჩერჩილი ისხდნენ. ინგლისელს ბელადი სმაში ჩაუთრევია და კარგა ბლომად მიურთმევიათ. ბოლოს, როცა უზომოდ მთვრალი უინსტონი ოთახიდან გაუყვანიათ, სტალინს უთქვამს — თქვენ ტყუილად არ მაშორებდით თვალს ამხანაგო გოლოვანოვ, მე ღვინო არ მეკიდება, როცა ვიცი, რომ არ უნდა დავთვრეო.

საინტერესო აზრს გამოთქვამს მისი დაცვის უფროსი ვლასიკი დავალებათა ოპერატიულობასა და სიზუსტეზე — ის თვითონ აძლევდა დავალებას შემსრულებელთ ისეთნაირად, რომ შეუსრულებლობის შანსს არ უტოვებდა.

— მთავარბანაკის ერთ-ერთ სხდომაზე ირკვევა, რომ ფრონტს ვერ აწვდიან საწვავის სათანადო რაოდენობას. სტალინი კითხულობს: რა უშლის ხელს? ბაიბაკოვი ამას ბურღების დაბალი ხარისხის გამო ნავთობის ამოღების შეფერხებით ხსნის.

— რატომ არის ბურღი დაბალი ხარისხის?

— მეტალურგიის მინისტრი უპასუხებს: ბურღს სიმტკიცე აკლია და ამიტომ მალე იმსხვრევა, ამხანაგო სტალინ!

— რატომ აკლია სიმტკიცე?

მეტალურგიის მინისტრი: — ლითონში მოლიბდენის ნაკლებობის გამო ამხანაგო სტალინ.

— რატომ არ ვუმატებთ მოლიბდენს?

ვოზნესენსკი: — გეგმით გამოყოფილი მოლიბდენი არ ყოფნის.

— გვაქვს თუ არა მოლიბდენი?

ვოზნესენსკი: — დიახ, გვაქვს, მაგრამ მხოლოდ ხელუხლებელ ფონდში.

აქ სტალინს მწარედ ჩაეღიმება და ჩაილაპარაკებს — „ხელუხლებელი“.

მაშ ასე, მეტალურგიის მინისტრი დღესვე კონსტრუქტორებთან დააზუსტებს მოლიბდენის საჭირო რაოდენობას, მალენკოვი გააფორმებს მინისტრთა საბჭოსა და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ერთობლივ დადგენილებას და ხვალ დილით ის ექნება ამხანაგ ვოზნესენსკის. ბურღების დამამზადებელი ყველა მეტალურგიული კომბინატი ხვალ დღის ბოლომდე მიიღებს იმ „ხელუხლებელ“ მოლიბდენს. ფრონტზე საწვავის მიწოდების საკითხს მოაგვარებს ამხანაგი ბაიბაკოვი. ხელუხლებელი ფონდის შევსებას სამ თვეში უზრუნველყოფს ამხანაგი ვოზნესენსკი. ამხანაგი ბერია ერთ კვირაში გაარკვევს, ვინ დაადგინა ბურღში მოლიბდენის შემცველობა, კონტროლი — კაგანოვიჩს. თავისუფლები ხართ, დარჩება ვოზნესენსკი (ყველასთვის გასაგები იყო, რისთვის დაიტოვა მომარაგების უფროსიძ.

საინტერესო ფაქტია, რომ ხელქვეითებთან სტალინის დამოკიდებულებაში შეინიშნება დიდაქტიკის ელემენტებიც: დავალების მიცემისას, ვისაც ავალებდა, ყოველთვის ბოლომდე როდი უხსნიდა ყველაფერს, საფიქრალს უტოვებდა. 1940 წლის შემოდგომაზე შტაბის ერთ-ერთი გენერლისთვის დაუვალებია, გაეგო ამ ბოლო დროს გერმანიაში გაიაფდა თუ არა ცხვრის ხორცი. ეს მთელი შტაბის თავსატეხად ქცეულა — რაში დასჭირდა ცხვრის ხორცის ფასი? მეორე დღესვე მოუხსენებიათ, რომ ცხვრის ხორცის ფასი გერმანიაში წელიწადზე მეტია, არ გაიაფებულა. სტალინს ჩაულაპარაკია — ე. ი. ის ამ ზამთარს ომს არ აპირებს. ბევრი ფიქრის და სჯა–ბაასის შემდეგ შტაბში დაუდგენიათ — რუსეთის სუსხიანი ზამთრის პირობებში, ჯარისკაცებისთვის ცხვრის ტყავის ტყაპუჭების გარეშე ჭკუათა მყოფელი ომს ვერ გაბედავსო.

ასევე დილემის წინაშე დააყენა მან ცნობილი გენერლები ვორონოვი, ერიომენკო და გადაზიდვების უფროსი ნესტეროვი, რომლებმაც შესჩივლეს, რომ ნავთი ვერ გადააქვთ აფშერონიდან ურალში, რადგან გერმანელები თავს ესხმიან და ყოველი მესამე გემი იძირებაო. მე ერთი შეკითხვა მაქვს თქვენთან, ამხანაგო ნესტოროვ. როგორც ვიცი, თქვენ ტექნიკუმი გაქვთ დამთავრებული. დიახ, ამხანაგო სტალინ. კარგია, მოზრდილი პაუზის შემდეგ



ჩერჩილი, ტრუმენი და სტალინი. პოტსდამი.

უთქვამს მთავარსარდალს, თუ იცით, წყალი უფრო მძიმეა თუ ნავთი? გაოგნებულ გენერლებს ვერაფერი უპასუხნიათ. ახლა კი წადით და მოიფიქრეთ, რა უნდა მოიმოქმედოთო, უთქვამს და გაუსტუმრებია დაბნეული სარდლები. მეორე დღეს დაურეკავს ვორონოვს და მოუხსენებია, რომ ყველაფერი გაირკვა, ნავთით სავსე ალუმინის ცისტერნები წყალში ჩავუშვით და უკვე მშვიდობიანად მიცურავენ ასტრახანისკენო.

— გენერალი ჟადოვი კურსკის შვერილზე მისულ სტალინს აღელვებული მივარდა თურმე და სასოწარკვეთილმა შესჩივლა: ჩამომაქვეითეთ, ამხანაგო სტალინ, მე მეთაურად არ ვვარგივარ, იმ გორაკს ვერაფერი მოვუხერხეო.

— რომელ გორაკს, ამხანაგო ჟადოვ?

— აი, იმ გორაკს, რომელიც პროხოროვის ველს იცავს.

სტალინს დაუმშვიდებია, ნუ ცხარობთ, ამხანაგო ჟადოვ, წყალი დალიეთ, ისეთი არაფერი მომხდარა. სხვათა შორის, ომამდე თქვენ ხუტორში, მგონი, ზეინკლად მუშაობდით?

— დიახ, ვმუშაობდი, ამხანაგო სტალინ.

— მაშინ, როცა ჩაქუჩით ვერ ერეოდით ლითონს, რას შვრებოდით?

— უროს ვურტყამდი, ამხანაგო სტალინ.

— ჰო და, ძალიან კარგი, აქაც ასე უნდა მოიქცეთ. ფრონტიდან გაქცევა კი არ უნდა მთხოვოთ, ურო უნდა მთხოვოთ. თქვენ მალე გექნებათ იგი.

ჟადოვს იმ დღესვე მიუღია ერთი სატანკო კორპუსი და რამდენიმე საარტილერიო ბატარეა. მეორე დილას გათენებამდე სიმაღლეც აღებული ყოფილა და პროხოროვის ველიც დაბრუნებული.

ცნობილი რუსი ისტორიკოსი იური ემელიანოვი სიტყვა–სიტყვით გადმოგვცემს პოტსდამის არქივიდან ამოღებული ერთი სტენოგრამის ამონაწერს გერმანიასა და პოლონეთს შორის სახელმწიფო საზღვრის თაობაზე მწვავე დავის შესახებ. ამას წინ უსწრებდა ის ფაქტი, რომ ფრანკლინ რუზველტის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ახლად გაპრეზიდენტებული ჰარი ტრუმენი და კოალიციის ახალი შემადგენლობა (დიდი ბრიტანეთის ახალარჩეული პრემიერი ეტლი და დელეგაციის სხვა წევრებიძ პირდაპირ თუ ირიბად უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, თუ რატომ წყდებოდა კონფერენციაზე საკითხები უმეტესწილად საბჭოთა კავშირის ინტერესების სასარგებლოდ. კერძოდ, ჰარი ტრუმენის უკმაყოფილება გამოუწვევია იმ ფაქტს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სრულუფლებიან სუბიექტებად საბჭოთა კავშირის გარდა, მიღებულ იქნენ უკრაინა და ბელორუსიაც, თუმცა, ეს საკითხი კენჭისყრით უკვე გადაწყვეტილი იყო და არაფერი შეიცვლებოდა. ალბათ, ამანაც გამოიწვია დიდი ბრიტანეთის დელეგაციის ხელმძღვანელის შეცვლის მიუხედავად, კონფერენციის მუშაობაში პრემიერ ეტლისთან ერთად ექს–პრემიერ უინსტონ ჩერჩილის მონაწილეობაც. გარდა ამისა, ეს ჭირვეული პრეზიდენტი, რომელიც გათამამებული იყო ატომური ბომბის წარმატებით გამოცდის შედეგით, ვერ შეგუებოდა იუგოსლავიისა და პოლონეთის ახალი მთავრობების საბჭოთა

## საუკუნისგან შობილი

კავშირისათვის მისაღები შემადგენლობით დაკომპლექტებას. ვერ ურიგდებოდნენ პოლონეთ-გერმანიის საზღვრის საკითხის სტალინის წინადადებით გადაწყვეტასაც...

ამიტომ კიდევ ერთხელ წამოიჭრა გერმანიასა და პოლონეთს შორის საზღვრის საკითხი. ისინი აცხადებდნენ, რომ ხსენებული საზღვრის ოდერ-ნეისის ხაზზე გავლება გამოიწვევდა ბერლინის ეკონომიკურ „დამბლას", რადგან სილეზია ექცეოდა პოლონეთის მხარეს და გერმანია რჩებოდა ქვანახშირის გარეშე. სტალინს კატეგორიული ტონით განუცხადებია, რომ ეს ასე არ არის.

ჩერჩილი: – რატომ არ არის ასე, მარშალო სტალინ?

სტალინი: – ბერლინი ქვანახშირს იღებს არა სილეზიიდან, არამედ ტორგაუდან (საქსონიაძ.

ჩერჩილი: – ტორგაუდან ისინი იღებენ დაბალი ხარისხის მურა ნახშირს.

სტალინი: – ტორგაუ იძლევა მაღალი ხარისხის ქვანახშირს და, გარდა ამისა, გერმანელებს აქვთ მურა ნახშირის ბრიკეტებად გადამმუშავებელი შესანიშნავი ფაბრიკები და გამოცდილება, რაც კარგად მოეხსენება ბატონ პრემიერს.

ჩერჩილი: – ბერლინი ქვანახშირის დიდ ნაწილს იღებდა სილეზიიდან.

სტალინი: – (ნიშნისგებითძ დიახ, დიახ, ეს მაშინ, როცა თქვენს ჯარებს დაკავებული ჰქონდათ მთელი საქსონიის ტერიტორია და ბერლინი იძულებული იყო, ქვანახშირი სილეზიიდან ეზიდა, მაგრამ დღეს ჯარი უკვე გაყვანილია საქსონიიდან.

მოწინააღმდეგე მხარემ დაინახა, რომ ამ თემაზე ამ კაცთან კამათი არ შეიძლებოდა და დიდი ბრიტანეთის ორივე, ძველი და ახალი პრემიერი დასავლეთ ევროპაში მუშახელის ნაკლებობაზე ალაპარაკდა.

არც ამ საკითხში აქვს პრობლემა დასავლეთ ევროპას, – საუბარში ერთობ ხისტად ჩაერია საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელი, – თქვენ ნორვეგიის მთებში 400 ათასი გერმანელი ტყვე გყავთ გადამალული, რომელთა მუშებად გამოყენება თავისუფლად შეგიძლიათ. სხვათა შორის, ისინი კბილებამდე შეიარაღებულები არიან და არ ვიცი, რას ელოდებიან.

ბრიტანელები კედელზე მიყენებული აღმოჩნდნენ და თავის მართლების გარდა სხვა ვერაფერი მოახერხეს. ეტლი ამბობს, ჩვენთვის ეს ცნობილი არ იყო, აქედანვე დავიწყებთ ამის გარკვევას. ჩვენ მტკიცედ გვქონდა გადაწყვეტილი, გერმანელი ტყვეების განიარაღება.

ამ დროს სტალინს, როგორც ჩანს, ხაზგასმული ირონიით ჩაულაპარაკია „не сомневаюсь", რასაც დარბაზში გვარიანი სიცილი მოჰყოლია.

ამ მაგალითებით ვრწმუნდებით, რომ ჰიპნოზმა კი არა, ყველა საჭირო ინფორმაციის ცოდნამ და ლოგიკურმა მსჯელობამ დააყრევინა დიდ დასავლეთელ პოლიტიკოსებს ფარ–ხმალი. ამ სუსხიანი დიალოგით ყველამ იგრძნო, რომ დასავლეთი უხეშად არღვევს სამოკავშირეო ვალდებულებებს და ისიც გაირკვა, რა ვერაგი ზრახვებით იყო ნაკარნახევი 400 ათასი შეიარაღებული გერმანელი ჯარისკაცის გადამალვა სკანდინავიის სიმყუდროვეში.

გოგლა ლეონიძე სტალინისადმი მიძღვნილ ერთ ლექსში თავის გმირს მიმართავს, „რა ძალამ შეგკრა ძალადაო"? აქ იმ ძალაზე არ არის ლაპარაკი, აღმართს რომ ხნავს. მტერს შეიძლება აჯობო, პოლიტიკურ ოპონენტსაც გაუსწორდე, მოღალატესაც თავისი მიუზღო, კბილებამდე შეიარაღებული ურდოს დამარცხებაც შეძლო, მაგრამ ყველგან „ძლევაი საკვირველი" მართლაც ძნელად ასახსნელია. ხომ შეიძლება არ დაიჯერო, ან რაღაც ზებუნებრივს მიაწერო, მაგრამ მისი საერთოდ დაუნახაობა, უბრალოდ, შეუძლებელია. თუ მეხსიერება არ მღალატობს (ეს სტალინს არ მოუვიდოდაძ, ერთი იაპონელი ძალოსანის მწვრთნელი ამბობს – „როგორც ნიჭის დაუფასებლობა არის უნიჭობა, ისე ძალის დაუნახაობაც უძლურებააო".

რომელ დიდ ადამიანს არ აქვს აზრი გამოთქმული მასზე, მაგრამ, მოდი, თავი დავანებოთ მათ და მის პირველ მტერს, თვით ადოლფ ჰიტლერს მოვუსმინოთ: „სტალინგრადის მაგალითზე კვლავ გამოჩნდა, რა მნიშვნელობა აქვს ერთ ადამიანს. იმ გამანადგურებელი დარტყმების შემდეგ, რაც მათ იწვნიეს 1941-42 წლებში, რომელიც გნებავთ ხალხი ფარ-ხმალს დაყრიდა, მაგრამ რუსეთში ერთი კაცის რკინისებურმა სიმტკიცემ, შეუდრეკელმა ნებისყოფამ და გმირულმა ხასიათმა ხალხი წინააღმდეგობის გაწევის აუცილებლობამდე მიიყვანა. სტალინი, ეს არის მრისხანე მოწინააღმდეგე, როგორც მსოფლმხედველობით, ისე საომარი თვალსაზრისით და თუ ოდესმე ჩამივარდა ხელში, ვაგრძნობინებ პატივისცემას და დავუთმობ მთელ გერმანიაში საუკეთესო ციხე-სიმაგრეს, მაგრამ... არასოდეს გამოვუშვებ იქიდან. თავად სტალინი უდავოდ ისტორიული პიროვნებაა, სრულიად უზარმაზარი მასშტაბის".

ფაშისტური გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი რიბენტროპი ამ ინფორმაციის მოწოდებასთან ერთად თავის მოსაზრებასაც გვიზიარებს: ფიურერს სულაც არ ეთაკილებოდა თავის მოწინააღმდეგეზე ესოდენ ამაღლებული საუბარი, მგონი, ეამაყებოდა კიდეც – აი, ვისი წინააღმდეგობის გადალახვა მიწევსო.

მიმაჩნია, რომ პროპაგანდისტული მოსაზრებით ჰიტლერის ლაფში ამოსვრა, გიჟად და პარანოიკად გამოცხადება, რასაც ადგილი ჰქონდა ომის პერიოდში, სერიოზულად არ იყო მისაღები. მართალია გაუნათლებელი კი იყო, მაგრამ ნიჭიერებით, მასების მართვის უნარით და ხასიათის სიმტკიცით მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთ თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწედ და მხედართმთავრად მიიჩნეოდა. ამდენად, საგულისხმოა მისი ზემოთ მოყვანილი მოსაზრება სტალინზე.

ცხადია, სტალინის ესოდენ დიდ პიროვნებად ჩამოყალიბებაში, მის ფიზიკურ თუ პოლიტიკურ წრთობაში უმნიშვნელო როლი არ უთამაშია ადრეული ასაკიდანვე სხვადასხვა ხასიათისა და მასშტაბის ბრძოლებში უშუალო მონაწილეობის გამოცდილებას, მის საოცარ მეხსიერებას (რაც ჩაეწვეთებოდა, არ იშლებოდა მისი ტვინიდანძ, ინტერვენციასთან შერკინებას და სტიქიასთან უთანასწორო ბრძოლას, მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, ამ მხრივ გადამწყვეტი ფაქტორი მის ირგვლივ შემოკრებილი პოლიტიკოსების წინააღმდეგობის გადალახვა გახლდათ. ის ათი თუ თხუთმეტი პოლიტიკური ფიგურა ქუჩიდან მოხვეტილი ბრბო კი არა, მრავალ პოლიტიკურ, ტერორისტულ ქარტეხილებში გამობრძმედილი პროფესიონალი რევოლუციონერები იყვნენ, რომლებიც კარგად ხედავდნენ მათ თვალწინ როგორ იზრდებოდა და უზარმაზარი მასშტაბის მოღვაწედ ყალიბდებოდა ეს შორეული პროვინციიდან ჩამოხვეწილი შავტუხა ბიჭი.

ეს გახლდათ ის, პროვინციიდან ჩამოხვეწილი ახალგაზრდა,რომელმაც ყველა მტრულად განწყობილი პირი მეთოდურად მოიშორა. ტროცკი ალმა-ატაში გასახლების დროს ეკითხებოდა თურმე სტალინს: ჩუმად რომ ვარ, იმიტომ მაგზავნით ხომ შორს? არა, ჩვეული იუმორით უპასუხებს სტალინი, შორს იმიტომ გაგზავნით, რომ ჩუმად იყოთო.

დიახ, ასე „ვიცნობდი" იოსებ ჯუღაშვილს, ასეთი საქმით, ასეთი ბრძოლით, ასეთი ლოგიკით... მასთან ამდაგვარი ნაცნობობა ბევრ ჩემს მკითხველსაც ექნებოდა და ამ წერილში მოთხრობილი ეპიზოდებიდან ახალი მათთვის არაფერი იქნება, მაგრამ, მე იმათთვის ვწერ, ვინც არც არაფერს კითხულობს (იქნებ ეს მაინც წაიკითხოს-მეთქიძ და ისე შეუძლია რიყეზე გავლა, ერთი კენჭიც არ დაინახოს.

**ლევან ჩიქვანაია**

## მკითხველი გვთავაზობს

# დედა

**დედასთან რომ ვარ, ვგავარ,**
**გოლიათს**
**მაქვს ვეფხის ძალა**
**დანაზედები,**
**დედასთან თავი ბავშვი მგონია,**
**სანამ დედა მყავს**
**არ დავბერდები.**

**დედა** – რა უბრალოდ წარმოსათქმელია ეს სიტყვა, ამიტომ პატარა სიტყვა ოთხი ბგერითაა აჟღერებული.

დედა სიცოცხლეს ანიჭებს ადამიანს, სიცოცხლე კი უძვირფასესი განძია სამზეოზე. დედა ზრდის შთაგონებას, ურჩევს, ასწავლის წერა-კითხვას, წიგნის სიყვარულს, ეალერსება, საჭიროების დროს ტუქსავს, კაცურკაცობის გზაზე აყენებს, პატიოსნების, კეთილშობილების მაგალითებს უჩვენებს, მისი წარმატება დედის იმედის გამართლებაა, ზეიმია.

დედამ იცის შვილების ცრემლის მიზეზიც და ღიმილის ფასიც, იგია სათავე მისი მომავლის გამოჭედვისა. მაშინაც კი როცა მნიშვნელოვანი საქმეები გაქვს, არ დაგავიწყდეს, დედას უთხარი. ყველაზე კარგად დედა გაგიგებს.

შვილისადმი დედის სიყვარული და თავდადება ზღვასავით ღრმა, უღრუბლო ზეცასავით კრიალა და უკიდეგანოა, ჩაუქრობელია, დედა სიცოცხლის მარადისობის საფუძველთა საფუძველია. მშობლის ფიქრი და ოცნება შვილის ჯანმრთელობა და კარგად ყოფნაა, მას შეუძლია დაივიწყოს პირადული და დაკმაყოფილდეს შვილების ბედნიერებით, მათი სიხარულით იცოცხლოს. მშობელი თავის დაფასებას ხედავს შვილების წარმატებაში, ღირსეული შვილი სახელს მატებს, ამაღლებს და ამდიდრებს მშობელს, საწინააღმდეგო თვისებების მქონე შვილი კი დედის და მამის გაუნელებელი მწუხარებაა.

არაფერია დედის სიყვარულზე უფრო წმიდა და უანგარო, მისი დიდი ბედნიერებაა – შვილს ხედავდეს თავის ახლოს და თუ საჭიროა, ლოცავს იმ გზასაც, რომელიც მის შვილს ბედნიერებისკენ წაიყვანს, სადაც მეტი სიხარული მოელის, შვება, ნეტარება ელოდება, ამისთვის მზადაა, დიდი ხნით დაშორდეს კიდეც. დედასა და შვილს შორის გაბმულია უხილავი ძაფები, რომლის გაწყვეტა ძნელზე ძნელია, რადგან დედა თავის უკვდავებას შვილებში ხედავს.

დედის კალთა, დედის რძე, დედის სითბო და ალერსი განუმეორებელი და აუწონავი სიმდიდრეა. გაუფრთხილდით, შვილებო, დედებს!



**– დედიკო, შეუსადარი**
**თვალები გქონდა, დედა...**
**მითხარი, ახლა სად არი**
**მაგ თვალთა შუქი, დედა?**
**– შენს თვალებშია, შვილო!**

**– თითქოს სიბერე გერევა,**
**ხსოვნა გღალატობს ბრძენის,**
**სად არის მეხსიერება,**
**მეხსიერება შენი?**
**– შენ გადმოგეცი, შვილო!**

**– დედიკოვ, ბედნიერებავ,**
**ძლიერი იყავ, ვგონებ,**
**სადღაა ეგ ძლიერება,**
**შენი ძალი და ღონე?**
**– შენს მკლავებშია, შვილო!**

**– ო, დედი, შენს მზეს ვიფიცებ,**
**წვალობ, რაღაცას ცდილობ...**
**სად არის შენი სიმკვირცხლე?**
**– შენს მუხლებშია შვილო!**

შვილების კეთილდღეობისთვის
მარადჟამს მლოცველი
და მავედრებელი დედა

**თამარ ფირცხალაიშვილი**

## პოეზია

**ნოდარ ჯალაღონია**

# ახალი რვეულიდან

## საქართველოს მარადიული დესპანი

რომში დაიდგმება
შოთა რუსთაველის ძეგლი

დესპანები იცვლებიან, მოდიან და მიდიან,
მაგრამ ბრძენთა სახელები ქვეყნებს
შორის ხიდია.

ღვთის რჩეულებს დრო და ჟამი,
წლები ვეღარ ერჩიან
და რუსთველიც საქართველოს შეუცვლელი
ელჩია.

ის სამშობლოს გვარს და სახელს ყველას
გულთან მიიტანს,
ქართულ ლექსით, სიმღერებით,
დარდითა და ლხინითა.

მართლაც, დიდი ბრძენკაცების საფერი
და სადარი,
ქართულ ენის ბალავარი, ქართულ ლექსის
სარდალი.

რუსთაველი საქართველოს იმედი და ფარ-ხმალი,
მოყვასთათვის შარბათი და მტრებისათვის
ლახვარი.

თუმცა ბევრი სახელები და ენები განქარდნენ,
ჩვენ, რუსთველის სიტყვის მადლით
მოვაღწიეთ აქამდე.

რადგან მისი ნებით, ნიჭით, სამშობლოს ცა
ამაღლდა,
საქართველო მომავალშიც ისევ ივლის ამაყად.

თუმცა ბევრი იმპერია და ქვეყნები დაიქცა,
რუსთაველი საქართველოს მომავალშიც
დაიცავს.

იმზეგრძელებს მისი ძეგლი მარადიულ ქალაქში
და ქართულ ლექსს, ენას, სიტყვას დრო-ჟამი
ვერ გადაშლის.

არ ჩაქრება არასოდეს ჩვენი სანთელ-საკმელი,
უკვდავია საქართველო და რუსთველის
სახელი.

## არ უწერია გადაშენება

– „ხვალ საქართველო აღარ იქნება",
ისმის ორგულთ და რეგვენთ ღაღადი.
ამგვარი სიტყვა და გაფიქრებაც
არის ქვეყნის და ერის ღალატი.

ეს რეგვენები სამშობლოს მტრებზე
ათასჯერ უფრო მტრები არიან.
ვინც საქართველოს სიკვდილზე ფიქრობს,
სამშობლოსათვის ცოცხლად მკვდარია.

თუკი დავკარგეთ რწმენა ხვალისა,
მაშინ სიცოცხლეს რაღა ფასი აქვს.
მწამს საქართველო ისევ იხილავს
ახალ დიდგორს და ახალ ბასიანს.

მჯერა, ღვთისმშობლის წილნაყარ მიწას
არ უწერია გადაშენება.
აღარ მოაკლებს ხვალაც უფალი
თავდადებულს და აღმაშენებელს.

მჯერა, ლეკვები ალგეთისანნი
საქართველოში ისევ ივლიან,
დაიბადება სხვა რუსთაველიც
და გვეყოლება ხვალ სხვა ილიაც.

მწამს, საქართველოს გადასარჩენად
ქართული ენა ისევ იომებს
და გვეყოლება ხვალ სხვა ფშაველაც,
აკაკიცა და გალაკტიონიც.

მჯერა, სამშობლო ცხრა შვილის დედას
არც მომავალში მოისაკლისებს,
არც ხვალ მოაკლებს თამარს, ქეთევანს,
აღარც წყნეთელს და აღარც წავკისელს.

და მე ვადიდებ ყველა იმ ქართველს,
ვინც ცხოვრობს ხვალის რწმენით, იმედით,
ვინც არც ცოცხალი და აღარც მკვდარი
თავის სამშობლოს აღარ იმეტებს.

ვეთაყვანები ყველა იმ ქართველს,
ვინც თავის ხალხს და მამულს აჩვენა –
– სამშობლოსათვის დაიბადა და
მოკვდა სამშობლოს გადასარჩენად.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ცხინვალი საქართველოსთან ახალ ტერიტორიულ დავას იწყებს

**თბილისსა და ცხინვალს შორის გაჩნდა გაუგებრობის ახალი ხაზი, თანაც სავსებით ხელშესახები. სამხრეთ ოსეთმა არ დაუცადა საქართველოს პასუხს მიწვევაზე – დაეწყოთ საზღვრის დემილიტარიზაცია და დემარკაცია, და დაიწყო მოქმედება თავად, საქართველოს წაუყენა ტერიტორიული პრეტენზიები**

სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა კონფლიქტური საკითხების მოწესრიგებაში ბორის ჩოჩიევმა განაცხადა, რომ სამხრეთი ოსეთი აპირებს დააყენოს ბოძები, რომლებიც დააფიქსირებენ სახელმწიფო საზღვრების გავლას. არ არის გამორიცხული, რომ ეს პროცესი მიგვიყვანს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის გაფართოებამდე. როდესაც ოლქი საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში იყო, მისი ტერიტორია შეადგენდა 3,9 ათას კვადრატულ კილომეტრს. თბილისში, სადაც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს განიხილავენ, როგორც „ოკუპირებულ ტერიტორიას", მეზობლების ახალ გეგმებს „პროვოკაციას" უწოდებენ და აღნიშნავენ, რომ „საქართველოს შიგნით გარკვეული დროის შემდეგ არავითარი საზღვრები აღარ იქნება". 2009 წლიდან სამხრეთ ოსეთის საზღვარს, რუსეთთან შეთანხმების საფუძველზე, იცავენ რუსი მესაზღვრეები. თებერვლის ბოლოს მოსკოვში გაიმართა ორმხრივი კომისიის პირველი სხდომა, რომელიც მიეძღვნა საზღვრის დელიმიტაციას რუსეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის. მალე მოლაპარაკება გაგრძელდება ცხინვალში. შედეგად რუსეთი და სამხრეთი ოსეთი ხელს მოაწერენ სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებას საზღვრის შესახებ. ჩოჩიევის სიტყვებით, ამჟამად ცხინვალელი ექსპერტები მუშაობენ კარტოგრაფებთან მოსკოვში, აზუსტებენ სადავო მომენტებს, მათ შორის, საქართველოსთან საზღვრის შესახებაც. სამხრეთ ოსეთის გაზეთი „რესპუბლიკა" იტყობინება, რომ „მოსალოდნელია დიდი და სკრუპულოზური სამუშაო, ხომ საჭიროა გავიხსენოთ ჭეშმარიტად ოსური ტერიტორიებიც, რომლებიც ქართველებს „აჩუქა" ჯერ მეფის რუსეთმა, შემდეგ კი საბჭოთა ხელისუფლებამ". „კომისიის შემაჯამებელი დოკუმენტი უნდა გახდეს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სრულიად სხვა რუკა, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოთა ფორმატისგან გაზრდის მხრივ", – დასკვნას აკეთებს გამოცემა.

„ჩვენს ტერიტორიას ცვლიდნენ ლამის ყოველი ხუთი წლის შემდეგ ლენინგორის (ახალგორისძ მიმართულებით, ცხინვალის და ძაუს (ჯავისძ რაიონებში", – ამტკიცებს ბორის ჩოჩიევი. კავკასიის სტრატეგიულ კვლევათა ცენტრის საქართველოს ხელმძღვანელი მამუკა არეშიძე ამბობს, რომ სამხრეთ ოსეთის მიერ წამოწყებული პროცესები „მეტად სახიფათოა და ქმნიან ახალ კონფლიქტურ სიტუაციას". „ჩემი მონაცემებით, ცხინვალს პრეტენზია აქვს საქართველოს მთელს ყაზბეგის რაიონზე, – განმარტა ექსპერტმა. – შეიძლება გავიხსენოთ სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის წინანდელი განცხადებები იმის შესახებ, რომ საქართველოს კურორტები ბორჯომი და ბაკურიანი – ესეც სახრეთ ოსეთია. ჩრდილოეთ ოსეთშიც ასევე აქტიურად აყალიბებენ ასეთსავე საზოგადოებრივ აზრს, რომ სამხრეთ ოსეთი – ეს უფრო მეტია, ვიდრე იგი სინამდვილეში არსებობს, ამის შესახებ წერენ იქაური მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ბეჭდავენ ატლასებს. ჩვენმა ხელისუფლებამ უფრო აქტიურად უნდა მოახდინოს ამაზე რეაგირება, მაგრამ მე ამ საგანგაშო საკითხისადმი სათანადო ყურადღებას ვერ ვამჩნევ". ტერიტორიული პრობლემა ერთადერთი სიურპრიზი როდია, რომელსაც ცხინვალი თბილისს უმზადებს. 15 მარტს სამხრეთ ოსეთში ჩავლენ ევროკავშირის, ეუთოს და გაეროს წარმომადგენლები, რომლებსაც თვის ბოლოსთვის განზრახული აქვთ გამართონ ჟენევის კავკასიის უშიშროების საკითხებზე დისკუსიის მორიგი მეათე რაუნდი. ეს დისკუსიები ეწყობა 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტების შემდეგ. შვეიცარიაში მოლაპარაკებაში მონაწილეობას ღებულობენ აგრეთვე რუსეთი და ამერიკის შეერთებული შტატები. სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ჩოჩიევმა განაცხადა, რომ საერთშაორისო შუამავლებს უამბობს სამხრეთ ოსეთის გეგმების შესახებ – გადაკეტოს საქართველოს რაიონებისკენ მიმავალი არხები, რომლებიც ამ რაიონებს ამარაგებენ სასმელი და სარწყავი წყლით, ვინაიდან საქართველო არ აღადგენს გაზის მიწოდებას სამხრეთ ოსეთის ლენინგორის რაიონისთვის. ბორის ჩოჩიევმა დააზუსტა, რომ საქართველო მზად არის მიაწოდოს გაზი მხოლოდ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას, მაგრამ არ სურს, რომ იგი მიიღონ ამ რაიონში დისლოცირებულმა რუსმა სამხედროებმა. თუ სამხრეთ ოსეთს ხელს არ მისცემს ჟენევის დისკუსიები, მას შეუძლია საერთოდ შეწყვიტოს მათში მონაწილეობა. ახალი მოლაპარაკებისთვის ემზადება აფხაზეთიც – იქ ჩავა ევროსაბჭოს სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში შვედი დიპლომატი პიტერ სემნები.

**მიხეილ ვიგნანსკი**

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

საქმე №3/17-2010

## განჩინება

### საჯარო შეტყობინების შესახებ

**5 მარტი, 2010 წელი** **ქ. ქუთაისი**

### ქუთაისის საქალაქო სასამართლო

### მოსამართლე ირაკლი ლეკვეიშვილი

**მოსარჩელე – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.**
**მოპასუხე – ჯაბა ბალანჩივაძე.**
**დავის საგანი – თანხის დაკისრება.**

**გამოარკვია:**

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მომართა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მოპასუხე ჯაბა რობერტის ძე ბალანჩივაძის მიმართ და ჯარიმის 22615.67 ლარის, პირგასამტეხლოს 6784.71 ლარის და ზიანის საკომპენსაციო თანხის 4586 ლარის ანაზღაურება მოითხოვა.

მოსარჩელემ მოპასუხის ჯაბა რობერტის ძე ბალანჩივაძის საცხოვრებელ ადგილად მიუთითა ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი №64, ბ. 15;.

სასამართლო კურიერის მიერ წარმოდგენილი გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათში აღნიშნულია, რომ „მითითებულ მისამართზე ჯაბა ბალანჩივაძე არ ცხოვრობს".

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, სასამართლოს გამოაქვს განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაციის მეშვეობით. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის ადმინისტრაციულ ერთეულში.

განსახილველ შემთხვევაში სასარჩელო განცხადებაში მითითებულ მისამართზე ვერ ხერხდება მოპასუხე ჯაბა ბალანჩივაძისათვის სასამართლო უწყების ჩაბარება, რის გამოც ჭიანურდება საქმის განხილვა.

აღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია გამოიტანოს განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაციის მეშვეობით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლებით,

**დაადგინა:**

1. განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში".
2. ეცნობოს მოპასუხე ჯაბა რობერტის ძე ბალანჩივაძეს, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაშია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ჯაბა ბალანჩივაძის მიმართ ჯარიმის 22615.67 ლარის, პირგასამტეხლო 6784.71 ლარის და ზიანის საკომპენსაციო თანხის 4586 ლარის დაკისრების შესახებ.
3. ეცნობოს მოპასუხეს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელისა გამო ჯაბა ბალანჩივაძის მიმართ – თანხის დაკისრების თაობაზე, სასაართლოს მთავარი სხდომა დანიშნულია 2010 წლის 22 მარტს 14:30 საათზე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11ძ.
4. განჩინების გამოქვეყნება დაევალოს მოსარჩელეს – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს.
5. ეცნობოს მოპასუხე ჯაბა ბალანჩივაძეს, რომ თუკი იგი ან მისი უფლებამოსილი პირი ვერ გამოცხადდება სასამართლოს მთავარ სხდომაზე, ვალდებულია გამოუცხადებლობის მიზეზების თაობაზე წინასწარ აცნობოს სასამართლოს. მთავარ სხდომაზე მოპასუხის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26¹-ე მუხლის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია, მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის დაუსწრებლად გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმეში არსებული მასალების საფუძველზე.
6. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**მოსამართლე**
**ირაკლი ლეკვეიშვილი**

საქმე №3/18-2010

## განჩინება

### საჯარო შეტყობინების შესახებ

**5 მარტი, 2010 წელი** **ქ. ქუთაისი**

### ქუთაისის საქალაქო სასამართლო

### მოსამართლე ირაკლი ლეკვეიშვილი

**მოსარჩელე – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.**
**მოპასუხე – ლევან ჩხიკვაძე.**
**დავის საგანი – თანხის დაკისრება.**

**გამოარკვია:**

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მოპასუხე ლევან რომანის ძე ჩხიკვაძის მიმართ და ჯარიმის 265500.76 ლარის, პირგასამტეხლოს 7950.23 ლარის და ზიანის საკომპენსაციო თანხის 2363.77 ლარის ანაზღაურება მოითხოვა.

მოსარჩელემ მოპასუხის ლევან რომანის ძე ჩხიკვაძის საცხოვრებელ ადგილად მიუთითა ქ. ქუთაისი, აკ. წერეთლის მეოთხე შესახვევი №17.

სასამართლო კურიერის მიერ წარმოდგენილი გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათში აღნიშნულია, რომ „მითითებულ მისამართზე ლევან ჩხიკვაძე არ ცხოვრობს".

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის 1 ნაწილის თანახმად, თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, სასამართლოს გამოაქვს საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაციის მეშვეობით. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის ადმინისტრაციულ ერთეულში.

განსახილველ შემთხვევაში სასარჩელო განცხადებაში მითითებულ მისამართზე ვერ ხერხდება მოპასუხე ლევან ჩხიკვაძისათვის სასამართლო უწყების ჩაბარება, რის გამოც ჭიანურდება საქმის განხილვა.

აღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია გამოიტანოს განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაციის მეშვეობით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლებით,

**დაადგინა:**

1. განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში".
2. ეცნობოს მოპასუხე ლევან რომანის ძე ჩხიკვაძეს, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაშია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ლევან ჩხიკვაძის მიმართ ჯარიმის 265500.76 ლარის, პირგასამტეხლოს 7950.23 ლარის და ზიანის საკომპენსაციო თანხის 2363.77 ლარის დაკისრების შესახებ.
3. ეცნობოს მოპასუხეს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელისა გამო ლევან ჩხიკვაძის მიმართ – თანხის დაკისრების თაობაზე, სასამართლოს მთავარი სხდომა დანიშნულია 2010 წლის 22 მარტს 15:30 საათზე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი კუპრაძის ქ. №11ძ.
4. განჩინების გამოქვეყნება დაევალოს მოსარჩელეს – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს.
5. ეცნობოს მოპასუხე ლევან ჩხიკვაძეს, რომ, თუკი იგი ან მისი უფლებამოსილი პირი ვერ გამოცხადდება სასამართლოს მთავარ სხდომაზე, ვალდებულია გამოუცხადებლობის მიზეზების თაობაზე წინასწარ აცნობოს სასამართლოს. მთავარ სხდომაზე მოპასუხის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26¹-ელ მუხლის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია, მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის დაუსწრებლად გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმეში არსებული მასალების საფუძველზე.
6. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**მოსამართლე**
**ირაკლი ლეკვეიშვილი**

## დედამიწის ზურგზე




**მეცნიერებმა ისწავლეს მოგონებათა კითხვა ადამიანის ტვინზე დაკვირვებით**

მოხალისეთა ტვინს ჰყოფდნენ ფრაგმენტებად, სადაც თითოეულში 10 ათასი ნეირონი იყო. თითოეული ფერმენტის აქტიურობა ერთიანდებოდა მონაცემების მასივში. ამან მეცნიერებს საშუალება მისცა 50 პროცენტის ალბათობით ამოიცნონ, თუ რაზე ფიქრობს ადამიანი კვლევის მომენტში.



**პუტინი ინდოეთის პრეზიდენტს შეხვდა, რათა განიხილოს იარაღის მიწოდება 10 მილიარდი დოლარის ოდენობით**

განსახილველ საკითხთა წრე ადრევე იყო ცნობილი. ყველაზე სერიოზულად მიიჩნევდნენ სამხედრო-ეკონომიკურ საკითხს: ერთდღიანი ვიზიტის დროს ხელი უნდა მოეწეროს დაახლოებით 15 დოკუმენტს. რუსეთი ცდილობს აღადგინოს ძველი სიყვარული ინდოეთისადმი, კომენტარს აკეთებს უცხოეთის პრესა.

**თურქეთმა შვედეთიდან ელჩი გაიწვია, ვინაიდან ამ ქვეყანამ აღიარა სომეხთა გენოციდი**



რეზოლუცია ოსმალეთის იმპერიაში 1915-1917 წლებში სომეხთა მასობრივი მკვლელობების – გენოციდის შესახებ მიიღო შვედეთის პარლამენტმა. შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში დეპუტატებს არ დაეთანხმნენ. თურქეთმა გაოცება გამოთქვა ამ გადაწყვეტილების გამო, ხოლო პრემიერ-მინისტრმა ერდოღანმა გადადო თავისი ვიზიტი შვედეთში.

**11 სექტემბრის ტერორისტული აქტის დროს დაზიანებული მაშველებისთვის ამერიკა 657 მილიონ დოლარს გაიღებს**

ნიუ-იორკის ხელისუფლება დათანხმდა კომპენსაციის სახით გადაუხადოს ტერორისტების შეტევის შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებს. საკითხი შეეხება 11 ათასზე მეტ მეხანძრესა და მაშველს, რომლებიც მუშაობდნენ ნანგრევებში და მიიღეს მძიმე დაავადებანი.

**აშშ-ში ერთბაშად ორი თვითმფრინავი შეეჯახა ფრინველთა გუნდებს**

ორივე ინციდენტი მოხდა თვითმფრინავების აფრენის შემდეგ. პირველი საგანგებო შემთხვევა მოხდა თვითმფრინავის საფრენი ბილიკიდან აფრენისთანავე, მეორე – 700 მეტრის სიმაღლეზე. ფრინველთა გუნდებთან შეჯახების შემდეგ ლაინერები იძულებული გახდნენ განეხორციელებინათ ავარიული დაჯდომა. როგორც ვარაუდობენ, ფრინველთა გუნდები – ეს კანადური ბატები იყვნენ.



◎ იუბილე

# გულს კვლავაც ხატად გისვენია დიდ მამულიშვილთა სახეები



## მილოცვა მედეა როგავას – მეგობარსა და კოლეგას

**ჩვენო მედეა! მთელი გულით გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს, რომელსაც შენ ღირსეულად ხვდები.**

შენ ქართული უნივერსიტეტის 60-იანელთა იმ თაობას ეკუთვნი, რომელმაც ერის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი კვალი გაავლო და განძად მისცა მძლავრი ინტელექტუალური პოტენციალი. ეს ის თაობაა, რომლის თავზეც არაერთმა პოლიტიკურმა ქარბორბალამ გადაიარა და, მიუხედავად რუსული ხიშტის მუდმივი მუქარისა, ფხიზელ დარაჯად ედგა მამულს, ენას და სარწმუნოებას.

ამ თავდადებაში ტოლი არავისთვის დაგიდევს, პირიქით, როცა შენი ერთადერთი პირმშო წამოჩიტე, ისიც მხარში ამოიყენე, იმ ბატალიების მოწმე გახადე და ასე შეასწავლე ქვეყნის სამსახური.

გულს კვლავაც ხატად გისვენია დიდ მამულიშვილთა სახეები. მათ მიერ ანთებული ლამპრით მიჰყვები ცხოვრების გზა-სავალს. გამორჩეული სიყვარულითა და კრძალვით იგონებ დიდი აკაკი შანიძის ღვაწლს სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის წინაშე, რომელიც ქართული აკადემიური გრამატიკის სწავლებასთან ერთად, იბერიულ-კავკასიურ ენათა გემოსაც გაჭაშნიკებინებდათ და გიღვიძებდათ ეროვნულ თვითშეგრძნებას, სიამაყეს, გამბედაობას, უფრო მეტიც, გაზეპირებინებდათ წმინდა ადგილებთან, საზღვარგარეთის ქართულ საგანმანათლებლო კერებთან და კულტურულ ცენტრებთან მისასვლელ გზებს, როგორც ამ სიწმინდეთა მომავალ პატრონებსა და მკვლევარებს.

ასეთივე თაყვანს სცემ სხვა კორიფეთა ღვაწლს, სასოებით ინახავ და უვლი იმ სალექციო ჩანაწერებს, მათი სიბრძნითა და ნაფიქრით რომ არის გაჯერებული.

ამ შეგნებითა და სულისკვეთებით ჩამოყალიბდი შენ, როგორც მოქალაქე და პიროვნება. იყავი ცნობიერების ლოგიკურობით გამორჩეული სტუდენტი, ნიჭიერი ასპირანტი და გულმოდგინე მკვლევარი. სტუდენტობისას დამუშავებული შენი სამეცნიერო რეფერატები და საკურსო ნაშრომები (ერთ-ერთი იმათგანი, ბატონი აკაკი შანიძის დიდებული რეცენზიით, ძვირფას განძად გაქვს შენახული) უკვე საკანდიდატო დისერტაციის დონისა იყო.

შენ შენი მამის, ცნობილი პედაგოგისა და მოღვაწის, ბატონ აპოლონ როგავას დარად, ცხოვრების გზად ახალგაზრდობასთან მუშაობა აირჩიე. თითქმის ნახევარი საუკუნეა, სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდას ემსახურები. ოცდაათი წელია ქართველ სპორტსმენ სტუდენტს დიდი მონდომებით უნერგავ სამშობლო ქვეყნის სიყვარულს.

ანტიკური ეპოქის ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი ბრძანებდა: – მასწავლებლობა ყველაზე მაღალი სახელმწიფოებრივი თანამდებობააო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ შენი საქმიანობითა და მოღვაწეობით, ზედმიწევნით დაადასტურე ამ სიტყვების ჭეშმარიტება.

ფართოდ განსწავლულსა და გამორჩეულ მწიგნობარს, გაქვს იშვიათი გემოვნება და ნაწარმოების შეფასების უნარი, თითქოს ფიზიკურად გრძნობ წიგნის ავ-კარგს, მნიშვნელობასა და ძალას. იშვიათია შენებრი მკითხველი, სიტყვისა და ფრაზის საოცარი დაგემოვნების უნარით დაჯილდოებული, ნიუანსების შენეული მიგნებითა და წვდომით, ორიგინალური ინტერპრეტაციით. სწორედ რომ ხედვის განსაკუთრებულმა უნარმა განაპირობა შენი ახლო მეგობრობა არა მარტო ქართველ, არამედ უცხოელ მწერლებსა და მეცნიერებთან. ჭეშმარიტ ღირებულებათა ძიების გზაზე შენი შეუვალობა, უკომპრომისობა და სიხისტე ხშირად წასდგომია საქმეს და თავადაც მადლობელი დარჩენილან შენეული დამაჯერებელი კრიტიკის ადრესატები, რისი თვალსაჩინო დასტურიცაა ის ეპისტოლეები, რომლებმაც შენ მდიდარ არქივში დაიდეს ბინა და დიდი ბრალი იქნება, თუ მათ დღის სინათლეს არ ანახვებ და არ გააცნობ საზოგადოებრიობას ამ მოღვაწეთა იმწუთიერ განცდებსა და გულისძვრას, განწყობილებასა და სულის მდგომარეობას.

შენთვის მთავარი მომავალი თაობის, ერის ხვალინდელი დღის აღორძინებაა.

შენ ის დედა და ბებია ხარ, რომელმაც თავის შთამომავლობას ამქვეყნად მოვლინებისთანავე სასთუმალთან დაუსვენა „ბიბლია“, „ვეფხისტყაოსანი“ და „დედაენა“.

ასეთივე სიფაქიზითა და სიყვარულით ექცევი შენ ყველა ახალგაზრდასა და მოზარდს, შენ სანუკვარ სტუდენტობას, როცა არ გელევა მათთან სასაუბრო, ასახსნელი თემა, როცა გულანთებული მოძღვრავ და უნერგავ სამშობლოს, ქვეყნის, თანამოძმეთა სიყვარულსა და პასუხისმგებლობას თითოეული გადადგმული ნაბიჯის მიმართ, წარმოთქმული თუ წამოცდენილი სიტყვისა და ნამოქმედარის გამო. ამ შეგონებებს განამტკიცებ ხოლმე სათანადო ლიტერატურული მაგალითებით, ნიმუშებით, პარალელებით... და მოდის და მოდის ეს სიბრძნე ულევად. ხან დარაზმავ, სათავეში ჩაუდგები ხოლმე მათ და შემოატარებ ქვეყნის სანახებს, სალოცავებს, აღანთებ სურვილით – აკეთონ საქვეყნო საქმე. განა, ასე არ იყო, როცა ჩვენი ეკლესია-მონასტრების სარესტავრაციო სამუშაოებში ჩართე ისინი? განა, ასე არ იყო, როცა აფხაზ ბიჭს, შენს სტუდენტს თვალს ლიბრი გადააცალე, დაიმეგობრე და ქართველი შეაყვარე? რამდენი უცხოელი სტუდენტი თუ მკვლევარი აზიარე ქართულ ენას? რომელი ერთი ჩამოვთვალოთ?

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ „ქართველთა ბიბლიის“ – „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ შენს მოწამებრივ დამოკიდებულებას. „ჩემი ვეფხისტყაოსანი“ ერქვა ერთ-ერთ რადიოგადაცემას, რომელშიც მონაწილეობდი და ძალიც შეგწევდა ქადილისა საამისოდ. რა ლაღად, დამაჯერებლად, არგუმენტირებულად წარმოაჩენდი შენეულ ხედვას. მსმენელს ეხმარებოდი გამხდარიყო შენეული მსჯელობის თანაზიარი, ლიტერატურულ წყაროებს გასცნობოდა, გაეჩხრიკა, დაფიქრებულიყო და ნააზრევის გულისგულს ჩასწვდომოდა.

შენთან მოსაუბრე ადამიანი გრძნობს, რწმუნდება, რომ უკვალოდ არ გამქრალა ანტონისეული ენის „სამი სტილის თეორია“ და რომ შენთვის ყველაზე ბუნებრივად მიიჩნეოდა და მიიჩნევა დღესაც ე. წ. „მაღალი სტილი“.

უჩივი ხოლმე დედისერთობით დალლილობას. ალბათ, ამიტომაც ხარ მოყვრის მუდმივ ძიებაში. მართალია, დიოგენეს დროიდან დაწყებული (ვერც მანამდეძ ეს პრობლემა ვერავინ გადაჭრა, მაინც არ იშლი შენსას და ფარხმალს არ ჰყრი. სანუგეშოდ, ვფიქრობ, ისიც გეყოფა – შენმა მხოლოდშობილმა რომ ასე გაგამრავლა.

ღირსი დედა ხარ!

გისურვებთ ამ ნამრავლითა და მისი ნაგრამით შენს სანუკვარ საქართველოში ხანგრძლივ სიცოცხლეს და ბედნიერ ყოფას.

**ლუბა ბიბილეიშვილი,**
**თენგიზ გაჩეჩილაძე,**
**დურმიშხან ჩიტაშვილი**

◎ თემის გაგრძელება

# სად ვეძებოთ ჩამარხული ძაღლის თავი?

(მეხუთე გვერდიდან)

და ამიტომ, მთავარი ბრალდება, რომელსაც მე აგერ უკვე 5 წელიწადია ხელისუფლებას ვუყენებ და, განსაკუთრებით, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2009 წლის 28 იანვრის რეზოლუციის მიღების შემდეგ მისგან კატეგორიულად მოვითხოვ, შემდეგში მდგომარეობს.

თუ საქართველოს ხელისუფლებაში მოსულ ძალას სოხუმის და ცხინვალის რეგიონები ფარულად რუსეთზე არ აქვს გასხვისებული, მაშინ გაეროსგან რატომ დღემდე არ მოითხოვს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2009 წლის 28 იანვრის რეზოლუციის ამოქმედებას, რომლის ძალით: „იმ უდავო მტკიცებულებათა შუქზე, რომ ომის დროს ქართულმა და რუსულმა მხარეებმა ადამიანის უფლებები და ჰუმანიტარული სამართლის ნორმები დაარღვია, **ახალი სამშვიდობო ფორმატის შექმნას და სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაციას** გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რეგიონში სტაბილობის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, და **ამ რეგიონების სტატუსთან დაკავშირებული არ შეიძლება იყოს“,** ანუ გაეროს მიერ აღიარებულ საქართველოს ტერიტორიის ამ ორ სივრცეში ხელისუფლებაში მოსული ეს ძალა **ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალთა დაბრუნების მოტივით,** რატომ დღემდე გაეროსაგან არ მოითხოვს რუსეთის შეიარაღებული ძალების ჩანაცვლებას ინტერნაციონალური სამშვიდობო ძალებით, დაკომპლექტებულს საქართველოს არამოსაზღვრე ქვეყნებიდან, ანუ რასაც საინიციატივო ჯგუფში შემავალი ორი აკადემიკოსი და 5 პროფესორი, და მათთან მიერთებული სამი მოთავე სახელმწიფო უნივერსიტეტის 52 პროფესორი 2004 წლიდან ითხოვდა.

ისმის კითხვა: რატომ არ აძლევს ხელს გაეროში საბჭოთა კავშირის ყოფილ წარმომადგენელს და საერთაშორისო სამართლის საკითხებში ედუარდ შევარდნაძის მარჯვენა ხელს – ლევან ალექსიძეს – საკითხის ასე დასმა? სწორედ იმიტომ, რომ **ლევან ალექსიძე იყო გაეროში საბჭოთა კავშირის ყოფილი წარმომადგენელი და საერთაშორისო სამართლის საკითხებში ედუარდ შევარდნაძის მარჯვენა ხელი, რომლის ხელშეწყობითაც აფხაზეთში და „სამხრეთ ოსეთში“ რუსეთის დე ფაქტო საოკუპაციო ჯარი იქნა ჩაყენებული.**

აი, აქ არის სწორედ ძაღლის თავი ჩამარხული!

ესაუბრა
**მიხეილ მერაბიშვილი**

◎ ვიფიქროთ ამაზე!

***ა. წ. 3 მარტს, „დედის დღეს“ მსოფლიო ბანკმა საქველმოქმედო ფონდ „იავნანას“ დამფუძნებელმა პაატა ბურჭულაძემ მორიგი კონცერტი გამართა. იმ დღეს დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას ფონდმა და კომპანია „ვისოლმა“ ფრიად ორიგინალური საჩუქარი დაახვედრეს, ლამაზ კონცერტებში ჩადებული ბუკლეტი, ჩვენი კოლეგის, ტელეჟურნალისტ მერაბ ბერაძის ლექსით „დაგვიანებული აღსარება“, რომელიც „საქართველოს რესპუბლიკის“ 6 მარტის ნომერში დაიბეჭდა და საკმაოდ დიდი ინტერესიც გამოიწვია. სხვათა შორის, ეს ლექსი ა. წ. 14 იანვარს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ აკურთხა და ამასთან ბრძანა, რომ მაღალი ღირებულების გამო მას ქადაგების დროსაც გამოიყენებს (მოგეხსენებათ, ასეთი რამ ფრიად იშვიათად ხდება). მაგრამ ფართო საზოგადოებამ არაფერი იცის იმის თაობაზე, თუ რა შესთავაზა ჟურნალისტმა სრულიად საქართველოს პატრიარქს. ამის შესახებ გაზეთის კორესპონდენტმა თვით მერაბ ბერაძისგან შეიტყო.***

# დავაარსოთ საერთაშორისო „ოჯახის დღე“



**– ბატონო მერაბ, თვითონ ვარ მომსწრე, თუ რა დიდებული რეაქცია გამოიწვია თქვენმა „დაგვიანებულმა აღსარებამ“ 3 მარტს რუსთაველის თეატრში. კონცერტის დაწყებამდე გავიფიქრე, რა კარგი იქნება, ამ ლექსით დაიწყოს ეს საღამო და იგი თვითონ ბატონმა პაატამ წაიკითხოს-მეთქი. ძალიან ბევრ ადამიანს მოადგა თვალებზე ცრემლი ამ სტრიქონების წაკითხვისას. თქვენ, ალბათ, შეამჩნიეთ, რომ წამყვანები ძალზე ხშირად დანანებით აღნიშნავდნენ, შემოსული ზარები ჯერჯერობით საკმარისი არ არისო და ყველას სთხოვდნენ ამ მხრივ გააქტიურებას. სცენიდან წაკითხული ეს ლექსი კი, ამ მუხტს მნიშვნელოვნად გააძლიერებდა და ვფიქრობ თანხაც საკმაოდ გაიზრდებოდა. ამ ღონისძიების მიზანიც ხომ სწორედ ეს იყო?**

– ბატონი პაატა მსოფლიო ვარსკვლავია და საეჭვოა რომ თვითონ ეკისრა ეს ფუნქცია. თუმცა სცენიდან ლექსის წაკითხვა წინასწარ იყო დაგეგმილი, მაგრამ... ისე კი ა. წ. 14 იანვარი, შობა-ახალი წელი ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და ბედნიერი დღე იყო. როცა ჩემს მეგობართან, ამ ბუკლეტის მხატვარ გიორგი ავსაჯანიშვილთან ერთად, სასულიერო აკადემიის რექტორის მამა გიორგი ზვიადაძის უშუალო ხელშეწყობით მიგვიღო პატრიარქმა. ლექსის კურთხევის შემდეგ მას ვესაუბრე კაცობრიობის ერთ-ერთ უმთავრეს სატკივარზე, ადამიანთა შორის გართულებულ ურთიერთობაზე, ანუ იმაზე, რომ მსოფლიოს აქამდე უცნობი დაავადება მოედო, რასაც გაუცხოვება ჰქვია. მოსწონს ეს ვინმეს თუ არა, ფაქტია, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ტექნოკრატიის ეპოქაში, სადაც მეტისმეტად გაცივდა, გაუხეშდა და გამწვავდა კონტაქტები არა მარტო უცხო, არამედ მეგობრებსა და ახლობლებს, თვით დედ-მამასა და შვილებს შორისაც, ხოლო ბებიებსა და ბაბუებზე ლაპარაკიც არ არის. ფრიად სამწუხაროდ, დღეს ადამიანთა ურთიერთობა, ძირითადად პრაგმატულ საძირკველზე დგას, სადაც მთავარი განმსაზღვრელი ხდება ფული და არა სულიერი ღირებულებანი. დიახ, ვაღიაროთ, რომ ადამის ძე თანდათან ემსგავსება რობოტს. კაცობრიობა თვალსა და ხელს შუა კარგავს ყველაზე ძვირფასსა და ადამიანურებს, რასაც ოჯახური სითბო და სიყვარული ჰქვია, ეს კი კარგს არაფერს მოუტანს სამყაროს. არადა, როგორც ფსიქოლოგები ამტკიცებენ, ადამიანთა გუნება-განწყობაზე, ჯანმრთელობაზე და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, ყველაზე სასიკეთო გავლენას ახდენს ოჯახში, ახლობლებთან გატარებული დრო. ხოლო სიმდიდრის ზრდა და ფუფუნება, სულაც არ ნიშნავს კეთილდღეობასა და ბედნიერებას. ერთ მაგალითს გავიხსენებ. ძველ თაობას ცხადია ახსოვს, რომ საბჭოთა კავშირის დროს, მიტინგებს, მანიფესტაციებსა და დემონსტრაციებს ყველაზე სასტიკად ე. წ. „მერვე პოლკი“ არბევდა, რომელშიც უდედმამო, ბავშვთა სახლებში აღზრდილი ჯარისკაცები მსახურობდნენ.

**– თქვენ თვითონ როგორ წარმოგიდგენიათ მისი განხორციელება?**

– მოგეხსენებათ, საქართველოს პატრიარქს უდიდესი ავტორიტეტი აქვს მთელ ქრისტიანულ სამყაროში და თუ იგი საჭიროდ მიიჩნევს ამ იდეის მხარდაჭერას, მაშინ მას მწვანე შუქი აენთება და იგი ადვილად გაიკვლევს გზას ადამიანთა გულებისკენ, რითაც კაცობრიობა ოდნავ მაინც გაკეთილშობილდება და ამასთან, კიდევ ერთხელ გაბრწყინდება ქართული ნიჭი და გენია!

**– რატომ მაინც და მაინც ქრისტიანული სამყარო. რა სხვაგან მოგვარებულია ეს საკითხი?**

– ცხადია არა, მაგრამ ვიმეორებ, ჩვენი პატრიარქის დიდი აღიარების გამო, შესაძლოა იგი მთელს მსოფლიოს მოედოს.

**– და მაინც, როგორი უნდა იყოს ეს დღე?**

– მოგეხსენებათ, დღეს მიზეზთა გამო, უამრავი ჩვენი თანამემამულე სხვადასხვა ქვეყანაშია მიმოფანტული და ეს მარტო ქართული მოვლენა არ გახლავთ. ისინი მოწყვეტილნი არიან თავიანთ ოჯახებს. ამ დღეს კი, შვილებიცა და მშობლებიც შეეცდებიან ერთად შეხვდნენ ოჯახში, შეძლებისდაგვარად სამახსოვრო საჩუქრები უძღვნან ახლობლებს, ან უკიდურეს შემთხვევაში ტელეფონით მაინც შეეხმიანონ ერთმანეთს და თუნდაც ცოტა ხნით გაილამაზონ ცხოვრება.

**– და ზემოდან დაშვებული ცირკულარითაა ეს შესაძლებელი?**

– ნუ დაგვავიწყდება, რომ თავის დროზე, როცა მეოცე საუკუნის დასაწყისში 8 მარტი გამოცხადდა „ქალთა საერთაშორისო დღედ“, ალბათ, ბევრს ეს სასაცილოდ მოეჩვენა, მაგრამ გავიდა დრო და ამ თარიღს არა მარტო გერმანიაში, არამედ პრაქტიკულად მთელ მსოფლიოში აღნიშნავენ. ასევე იყო „ვალენტინობა“ და ბევრი სხვა. გავიხსენოთ, ამ ბოლო დროს თუნდაც საქართველოში უკვე დამკვიდრებული „მიცვალებულის დღე“. მოგეხსენებათ, თუკი საშუალება გვაქვს, ყოველთვის გავდივართ ხოლმე ჩვენგან წასული ახლობელი ადამიანების საფლავზე მათი გარდაცვალების, ორმოცის, წლისთავის, დაბადების ან სხვა თარიღის აღსანიშნავად, მაგრამ „მიცვალებულის დღეს“ იმდენი ჭირისუფალი გამოდის სასაფლაოზე, რომ ხშირად მიმდებარე ქუჩები იკეტება ხოლმე.

**– გეთანხმებით. მყარი არგუმენტია. როგორი იყო პატრიარქის რეაქცია?**

– პატრიარქი ბრძენ-კაცია და იგი კმაყოფილებით შეხვდა ამ იდეას, მაგრამ მოგეხსენებათ, სულ ცოტა ხანში იგი გერმანიაში გაემგზავრა სამკურნალოდ და ახლა როცა უკვე შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას, კვლავ შევეცდები მასთან შეხვედრას.

**სოფო ციგრიაშვილი**

**ჭადრაკი**

# ბაადურის მოტივებზე



**სავსებით შესაძლებელია, ევროპის შარშანდელი საჭადრაკო ჩემპიონატის ბრინჯაოსმედალოსან ბაადურ ჯობავას მდიდარ ბიოგრაფიაში ხორვატეთის ქალაქი რიეკა ოქროს ასოებით ჩაიწეროს. ასეთი ვარაუდის გამოთქმის საფუძველს ბალკანეთში მიმდინარე წლევანდელი კონტინენტური ფორუმის სატურნირო ცხრილში შექმნილი მდგომარეობა გვაძლევს.**

მეექვსე ტურში გალელმა დიდოსტატმა რუს ტიმოფეევს დააყრევინა ფარ-ხმალი და უკრაინელ ეფიმენკოსთან ერთად 5,5 ქულით წამყვან პოზიციას ინარჩუნებს.

შეგახსენებთ, რომ „ევრო-2010“-ის მონაწილეებმა 11-11 პარტია უნდა გამართონ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ორს ან რამდენიმეს თანაბარი მონაგარი ექნება, უძლიერესს თაი-ბრეიქები გამოავლენს.

**წლები**

# „ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე“...



**16 მარტს ერთადერთ ქართველ ევროპის ჩემპიონ მამაკაცს (2003წ, მსოფლიოს ჩემპიონატებისა და საჭადრაკო ოლიმპიადების მრავალგზის მონაწილეს, ფიდეს ვიცე-პრეზიდენტს, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენების კავალერს, საერთაშორისო დიდოსტატ ზურაბ აზმაიფარაშვილს 50 წელი უსრულდება.**

საამაყო მამულიშვილის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს აღსანიშნავ ღონისძიებებს, სავარაუდოდ, სპორტული სამყაროს მრავალი ღირსეული წარმომადგენელი დაესწრება, მათ შორის მსოფლიოს მეცამეტე ჩემპიონი გარი კასპაროვი, რომელსაც ჩვენი თანამემამულე სეკუნდანტობას კარგა ხნის განმავლობაში უწევდა. საზეიმო პროგრამას ზურაბ აზმაიფარაშვილის ავტორობით გამოცემული წიგნის „დიდოსტატი პატარა ქვეყნიდან“ პრეზენტაცია დააგვირგვინებს, რომელშიც დასტამბულია პარტიები მისივე მონაწილეობითა და კომენტარებით.

**ჰოკეი**

# კროსბის ყვანჯი იპოვეს

**ერთად დაიკარგა ჰოკეიში კანადის ნაკრებისა და „პიტსბურგის“ თავდამსხმელის სიდნი კროსბის ყვანჯი (ჰოკიჯოხიძ და ხელთათმანები, რომელთა დახმარებითაც მან ვანკუვერის ოლიმპიადის ფინალურ მატჩში გადამწყვეტი შაიბა გაიტანა აშშ ნაკრების კარში და კანადელები გააჩემპიონა.**



დაკარგული ნივთი იპოვეს ტორონტოში ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის დიდების მუზეუმისთვის სანქტ-პეტერბურგში გასაგზავნ სხვა ნივთებში. თავიდან მიაჩნდათ, რომ ის ჰოკეისტის სათამაშო ყვანჯი არ იყო, მაგრამ კროსბიმ გაგზავნილი ფოტოსურათებით ამოიცნო, რომ ის სწორედ მისი გამარჯვების მომტანი ყვანჯი იყო. ასევე იპოვეს ხელთათმანებიც, რომელიც კროსბის პარტნიორის პატრის ბერჟერონის ჩანთაში შემთხვევით მოხვედრილა. დაკარგული ძვირფასი ნივთები სიდნი კროსბის დაუბრუნეს.

**ფეხბურთი**

# დღე პირველი...

**ქართველი ლეგიონერების ლაშა სალუქვაძისა და დავით კვირკველიას თათარსტანული კლუბი ყაზანის „რუბინი“ მოკრძალებულად ჩაება ევროპის ლიგის პლეი-ოფში – რუსეთის ორგზის ჩემპიონმა პირველი მერვედფინალური შეხვედრა საკუთარ დათოვლილ სტადიონზე ფრედ – 1:1 დაასრულა გერმანულ „ვოლფსბურგთან“.**

აღსანიშნავია, რომ მასპინძლები ნოზოამ დააწინაურა, მაგრამ შესვენების შემდეგ მისიმოვიჩმა ზღაპრული შორეული დარტყმით იხსნა პარტნიორები.

კიდევ ერთხელ გააწბილა გულშემატკივრები „ლივერპულმა“, რომელიც საფრანგეთში „ლილთან“ დამარცხდა – 0:1. ერთადერთი ხიფათი სტუმართაგან ბაბელმა შექმნა, რომელიც ტორესმა ლანდროსთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ ამ დუელში მეკარემ იმარჯვა. დაუწერელი კანონი „თუ ვერ გაიტან, დაისჯები“, 84-ე წუთზე ამოქმედდა, როცა ფრომ ოსტატურად შეუცვალა მიმართულება საჯარიმოდან ჩაწოდებულ ბურთს.

**პირველი მერვედფინალური რაუნდის დანარჩენი მატჩები ასე დასრულდა:**

„ჰამბურგი“ – „ანდერლეხტი“ 3:1, „ატლეტიკო“ – „სპორტინგი“ 0:0, „ვალენსია“ – „ვერდერი“ 1:1, „იუვენტუსი“ – „ფულჰემი“ 3:1, „ბენფიკა“ – „მარსელი“ 1:1, „პანათინაიკოსი“ – „სტანდარდი“ 1:3.

**ამ ეტაპის საპასუხო თამაშები 18 მარტს გაიმართება.**



**კალათბურთი**

# ღირსების კანონით



**როცა ევროლიგის II ჯგუფური რაუნდის კალენდარი გამოქვეყნდა, ყველამ მიაქცია ყურადღება, რომ „ა“ ჯგუფის უკანასკნელ ტურში ერთმანეთს ბერძნული კლუბები „პანათინაიკოსი“ და „მარუსი“ უნდა შეხვედროდნენ. ალბათ, მიხვდით ქვეტექსტს – თუ რომელიმეს დასჭირდა, თანამემამულენი „დაუწვებიანო“.**

ნურას უკაცრავად – თურმე კიდევ შემორჩენილან პატიოსანი თამაშის წესის (ფეირ-პლეიძ ერთგულნი. ამ შემთხვევაში პირეოსელებს ვგულისხმობთ, რომლებსაც, მართალია, ყოველგვარი სატურნირო მოტივაცია დაკარგული ჰქონდათ, მაგრამ სტუმრებს მაინც მიაყენეს საბედისწერო ჩხვლეტა.

**გაუწყებთ VI ტურის მატჩების შედეგებს:**

**„ა“ ჯგუფი.** „პანათინაიკოსი“ – „მარუსი“ 82:79, „ბარსელონა“ – „პარტიზანი“ 82:64.

„ბარსელონა“ – 5, „პარტიზანი“ – 3, „მარუსი“ – 2, „პანათინაიკოსი“ – 1 მოგება.

**„ბ“ ჯგუფი.** „რეალი“ – „მაკაბი“ 64:66, „სიენა“ – „ეფესი“ 93:87.

„მაკაბი“ – 4, „რეალი“, „სიენა“ – 3-3, „ეფესი“ – 2 მოგება.

**„გ“ ჯგუფი.** ცსკა – „ჟალგირისი“ 84:71, „პროკომი“ – „უნიკახა“ 63:82.

ცსკა – 5, „პროკომი“ – 3, „უნიკახა“, „ჟალგირისი“ – 2-2 მოგება.

**„დ“ ჯგუფი.** „ხიმკი“ – „ოლიმპიაკოსი“ 96:83, „ტაუგრესი“ – „ციბონა“ 102:90 (დამატებით დროში, ძირითადი დრო – 78:78ძ.

**მეოთხედფინალური ეტაპის შეხვედრების სერია 3 მოგებამდე 23 მარტს დაიწყება და მეტოქენი ასე დაწყვილდნენ:** „მაკაბი“ – „პარტიზანი“, ცსკა – „ტაუგრესი“, „ოლიმპიაკოსი“ – „პროკომი“ და „ბარსელონა“ – „რეალი“(!ძ. თუ ოთხი ბრძოლის შემდეგ ანგარიში 2:2 იქნება, გადამწყვეტ რაუნდში საკუთარი დარბაზის უპირატესობა იმ გუნდებს მიენიჭებათ, რომლებმაც საკუთარ ჯგუფებში პირველი ადგილები დაიკავეს.

**შეგახსენებთ, რომ ოთხთა ფინალს მაისში პარიზი უმასპინძლებს.**

**ინტერნეტიდან**

## ნარკომანი სპრინტერი ნაკრებიდან გააგდეს

**ის, მართალია, უკვე ჩასული იყო დოხაში მძლეოსანთა ზამთრის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობისთვის, მაგრამ 60 მეტრზე სირბილში მსოფლიოს საუკეთესო შედეგის ავტორი აივორი უილიმსი აშშ ნაკრებიდანაც დაითხოვეს და ადრინდელი რეკორდიც გააუქმეს მარიხუანას გამოყენებისთვის.**

ალბუკერკში სპრინტერმა მოიგო ფინალი 60 მეტრზე სირბილში, აჩვენა რა სეზონის საუკეთესო დრო მსოფლიოში – 6,49 წამი. მაგრამ მაშინ აღებულმა დოპინგ-სინჯმა დადებითი შედეგი აჩვენა, რამაც მორბენლის ბედი გადაწყვიტა. მისი შედეგის გაუქმებით უილიამსმა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლებაც დაკარგა.

## დოპინგს ვერ გადაურჩა



**გავრცელდა ხმები, რომ აკრძალული მედიკამენტების გამოყენების მხრივ ვანკუვერის ოლიმპიური თამაშები ძალზე „სუფთა“ იყოო. მაგრამ ანტიდოპინგის საერთაშორისო სააგენტომ დაიწყო სპორტსმენების დოპინგ-სინჯების გახსნა და ერთ-ერთმა მათგანმა უკვე მისცა დადებითი შედეგი. ამის შესახებ განაცხადა პოლონეთის ოლიმპიური კომიტეტის თავკაცმა ადამ კრჟეშინსკიმ.**



აკრძალული პრეპარატების გამოყენებაზე გამოიჭირეს პოლონელი მოთხილამურე ქალი კორნელია მარეკი. მისი დოპინგ-სინჯი კი საესტაფეტო რბოლის შემდეგ აიღეს, ამ ესტაფეტაში პოლონეთის ნაკრებმა მეექვსე ადგილი დაიკავა. თავად მარეკი კი 30 კილომეტრზე რბოლაში მეთერთმეტე იყო.

როგორც აცხადებენ, დოპინგის გამოყენების ამ ფაქტმა ჩრდილი მიაყენა ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე პოლონელი ათლეტების ასეთ საუკეთესო გამოსვლას.

## ოღონდ პარაგვაიმ გაიმარჯვოსო

**ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, მაგრამ ბევრი უკვე აკეთებს პროგნოზებს და ფსონებიც შეაქვთ, თუ ვინ იქნება პლანეტის უძლიერესი გუნდი. ყველა თავისებურად გამოხატავს თავისი ქვეყნისა და მისი ნაკრებისადმი სიყვარულს.**

აი, მაგალითად, პარაგვაელ მოდელს დალის ფერეირას, ახლა არგენტინაში რომ მუშაობს, განუცხადებია, რომ თუკი პარაგვაის ეროვნული გუნდი მსოფლიოს ჩემპიონი გახდება, ის სექსის ღამეს გამართავს.

– რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს, რომ ჩემს სახლთან მამაკაცების რიგი დადგება. არა, მხოლოდ მთელ ღამეს დავუთმობ სექსსო. – უთქვამს ლამაზმანს.

რა თქმა უნდა, ასეთი ვარიანტი სრულიად შესაძლებელია, ოღონდ ლამაზმანს არ უნდა დაავიწყდეს, რომ მისი „საყვარელი პარაგვაი“ მოხვდა ჯგუფში ახლანდელ მსოფლიოს ჩემპიონთან – იტალიის ნაკრებთან ერთად და არც იქაური ვნებიანი ქალები იტყვიან უარს, 11 ივლისის ღამე გამარჯვებულ იტალიას რომ მიუძღვნან.



◉ მადლიერება

# ლუკას გადასარჩენად საქართველოსა და უკრაინაში ლოცულობდნენ

**თბილისის ჯო ენის სამედიცინო ცენტრში ბევრის სიცოცხლე გადაურჩენიათ, მათ შორის არის პატარა ლუკა ცაგარეიშვილი.**

ლუკას დედა, ქალბატონი მაია ზარანდია, ოჩამჩირიდან ლტოლვილი, უკრაინის ქალაქ სუმში ცხოვრობს. პროფესიით იურისტი იქ საავტორო პროგრამა „კოლხეთის შთამომავალნის“ წამყვანია და თან საკვირაო სკოლაში მუშაობს პედაგოგად. ის ერთ-ერთი იმათგანია, ვინც უკრაინაში მცხოვრები ქართველების სახელით საქართველოში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და მაცხოვრის ხატი ჩამოაბრძანა. მან თავისი ბედი ქუთაისელ დავით ცაგარეიშვილს დაუკავშირა და უკრაინაში ქართული ოჯახი შექმნა. მალე პატარა ლუკაც მოევლინა მშობლებს სიხარულად, თუმცა ბავშვს გულის პრობლემები აღმოაჩნდა და შვილი თვის ჩვილს ქირურგიული ოპერაცია დასჭირდა.



საჭირო თანხა, ჩვიდმეტი ათასი ლარი საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტომ (უფროსი ვახტანგ სურგულაძეძ გაიღო. ჯო ენის სამედიცინო ცენტრში ურთულესი ოპერაცია გაუკეთა კარდიოქირურგმა ირაკლი მეტრეველმა და მთელი სამედიცინო ჯგუფის ძალისხმევით ლუკას სიცოცხლე შეუნარჩუნეს.

იმ დღეს პატარას გადასარჩენად ერთად ლოცულობდნენ უკრაინასა და საქართველოში და უფალმა მათი ვედრება შეისმინა. ლუკა გამოჯანმრთელდა და თავის მშობლებთან ერთად მალე უკრაინაში გაემგზავრება. პატარას დედ-მამა და ახლობლები კი უდიდესი მადლიერებით იხსენიებენ ყველა იმ ადამიანის სახელს, ვისაც სულ მცირე წვლილი მაინც მიუძღვის ჩვილის გადარჩენაში და მადლობას უხდიან თანადგომისათვის.

**ნია ფიფია**

**სურათზე: კარდიოლოგი თამთა ბოცვაძე პატარა ლუკასთან ერთად.**

◉ „გადავარჩინოთ ბავშვები“

# ომის შედეგად დაზარალებულების კეთილდღეობისთვის



**საერთაშორისო ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ საქართველოს ოფისმა გუშინ, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ შემაჯამებელი სამუშაო შეხვედრა გამართა. მან ევროკავშირის გენერალური დირექტორის ჰუმანიტარული ოფისის ჰუმანიტარული დახმარების პროგრამის ფარგლებში, არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, განახორციელა პროექტი: „საქართველოში, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ბავშვებისა და ოჯახების ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია“.**

შეხვედრის დროს ყურადღება ხარვეზების გამოსწორებასა და სამომავლო გეგმებზე გამახვილდა, რათა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს საქართველოში დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ბავშვთა და მოზარდთა კეთილდღეობა.

ერთდღიან სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობდნენ 15 საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, 6 სამინისტრო, პარლამენტის კომიტეტის დეპუტატები დონორ ორგანიზაციებთან ერთად. იმსჯელეს ამ სფეროში არსებულ პრობლემებზე, რათა უკეთ მოხდეს მათი ახალ გარემოში ინტეგრირება და უფლებათა დაცვა.

დღეისთვის შიდა ქართლში 15 ათასამდე ახალგაზრდა და ბავშვი სარგებლობს საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გაწეული ფსიქოსოციალური, განათლებისა და განვითარების პროგრამებით. 2008 წლის ომის დაწყებიდან დღემდე ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ დაეხმარა 21000-ზე მეტ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ბავშვსა და ახალგაზრდას.

2009 წლის ივლისში ევროკომისიამ საქართველოს დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობისათვის დამატებით 2 მილიონი ევრო გამოყო.

კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობა კვლავ დამოკიდებულია სახელმწიფოსა და საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებაზე. ხორციელდება პროექტები საერთაშორისო ორგანიზაციების, საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტისა და გაეროს სააგენტოს მიერ.

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის გენერალური დირექტორის ჰუმანიტარული ოფისის მიერ.

ყველა მონაწილე ბავშვის საქმის წარმოება ხდება ისე, რომ „გადავარჩინოთ ბავშვების“ გუნდმა და პარტნიორებმა მოახდინონ ყველაზე დაუცველი პირებისა და ოჯახების ფსიქოლოგიური დახმარება.

**ეკა მაშიანოვა**

◉ პრესკონფერენცია

# „რელიგიათა კვლევის ცენტრი“ ინფორმაციულ ვაკუუმს ამოავსებს?

**გუშინ, თბილისში, მოსე თოიძის სახლ-მუზეუმში პრესკონფერენცია გამართა „რელიგიათა კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელმა ლელა ჩოლოყაშვილმა. მან ისაუბრა საქართველოში არსებული რწმენისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით ინფორმაციულ ვაკუუმზე: „ჩვენ დავაფუძნეთ რელიგიური საკითხების კვლევის ძმედითუნარიანი ცენტრი, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში არსებული კონფესიების შესწავლას, რწმენისა და გამოხატვის თავისუფლების, ტოლერანტობის სულისკვეთების გაღრმავებას და ამ თემებზე ინფორმაციული ვაკუუმის შევსებას.** განსხვავებული აღმსარებლობის ადამიანების დაახლოებასა და ჩვენს შორის მსოფლმხედველური, კულტურული და ასევე სამეცნიერო კავშირების გაღრმავებას. საქართველოში და მსოფლიოში რელიგიური პროცესების კვლევა-ანალიზი და მისი შედეგების წარმოჩენა, ამა თუ იმ რელიგიურ ტოლერანტულ-კულტურული და ჰუმანიტარული პოტენციალის გამოვლენა ხელს შეუწყობს რელიგიათშორისი დიალოგის კულტურის დისკუსს“.



„რელიგიათა კვლევის ცენტრი“ ერთი წლის წინათ მამა ზაზამ დააფუძნა, მისი თქმით, ცენტრის დაარსების აუცილებელი პირობა საზოგადოების რელიგიურ საკითხებში არასაკმარისად ინფორმირებულება გახდა. „ჩვენი საზოგადოება მოკლებულია რელიგიურ საკითხებში კომპეტენტურ ცოდნას. ექსპერტების მცირე რაოდენობა ვერ ახერხებს კვლევების ჩატარებას სხვადასხვა რაკურსით. რელიგიას აქვს როგორც სოციალური, პოლიტიკური, ასევე ფსიქოლოგიური და კონფლიქტოლოგიური ასპექტები. კვლევაც სწორედ ამ კუთხით უნდა ჩატარდეს. ეს იქნება ერთ-ერთი ცენტრი, რომელიც ასეთ მნიშვნელოვან საკითხს შეეჭიდება და ჩვენს საზოგადოებას მიაწვდის კომპეტენტურ ინფორმაციას. ეს არის „რელიგიათა კვლევის ცენტრის“ მიზანი“, – დასძინა მამა ზაზამ.

კვლევაში ჩართული არიან რელიგიათმცოდნეები, ფსიქოლოგები, სოციოლოგები და კონფლიქტოლოგები.

**თინათინ ბორცვაძე**

◉ ეროვნული გმირი

# დაუვიწყარი



**საქართველოს ეროვნულ გმირს ჟიული შარტავას 7 მარტს 66 წელი შეუსრულდებოდა.**

**სენაკის ჟიული შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ინიციატივით და კულტურის ცენტრის მხარდაჭერით 1-დან 7 მარტის ჩათვლით გაიმართა გმირის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები: სკოლებში – თემატური და ღია გაკვეთილები, ლიტერატურული საღამოები, თეორიული კონფერენციები, სპორტული შეჯიბრებები, გამოფენები...**

**7 მარტს ქალაქის ცენტრში შეიკრიბნენ სენაკის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, კულტურის მუშაკები, თანაქალაქელები და ყვავილებით შეამკეს გმირის ბიუსტი...**

**იოანე ნათლისმცემლის სახელობის სენაკის საკათედრო ტაძარში დეკანოზებმა ნაზარი ჭანტურიამ და იოანე კუპრეიშვილმა აღავლინეს ჟიული შარტავას სულის მოსახსენებელი პანაშვიდი...**

**იოსებ გობეჩია**

◉ ინფორმაცია

# გრიგალი ქსოვრისში

**გრიგალმა მცხეთის რაიონში სოფელი ქსოვრისი დააზარალა. ქარმა რამდენიმე სახლს სახურავი მთლიანად გადახადა. სტიქიის შედეგად დაზიანებულია საცხოვრებელი სახლის კედლებიც.**

ადგილობრივები აცხადებენ, რომ ასეთი ქარი მათ არ ახსოვთ. მოსახლეობა დახმარებას ითხოვს. მცხეთის რაიონის გამგეობაში შექმნილია სპეციალური კომისია, რომელიც სტიქიისაგან მიყენებულ ზარალს აღჭდგენს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

**სს „ახალქალაქის რძის“ აქციათა 96,3515 პროცენტის მფლობელი არამ სანოსიანი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53⁴ მუხლის თანახმად აცხადებს აქციათა სავალდებულო გამოსყიდვას. ტელ. 895 20 40 39.**

## განცხადება

2010 წლის 6 აპრილს დღის 11 საათზე დანიშნულია სააქციო საზოგადოება „ყვარელის“ აქციონერთა საერთო კრება.

**დღის წესრიგი:**

1ძ 2009 წლის წლიური ბალანსის განხილვა.
2ძ სხვადასხვა საკითხები.

**მისამართი: ქ. ყვარელი, ჭავჭავაძის ქ. №72.**

სააქციო საზოგადოება „ყვარელის“ ადმინისტრაცია

## განცხადება სააქციო საზოგადოება „მასპინძელის“ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ

**2010 წლის 27 აპრილს 16 საათზე მოწვეულია სს „მასპინძელის“ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება, იურიდიულ მისამართზე: თბილისი, თარხნიშვილის ჩიხი №1.**

**დღის წესრიგი:**

1. სს „მასპინძელის“ გენდირექტორის ბატონ თამაზ მინდორაშვილის განცხადების განხილვა;
2. საზოგადოებაში რთული ფინანსური მდგომარეობის შესახებ;
3. სხვადასხვა.

საერთო კრების სააღრიცხვო დღე 2010 წლის 25 მარტი.

**აქციონერებს შეუძლიათ კრებაში მონაწილეობის უფლება შეამოწმონ გაერთიანებულ ქართულ რეგისტრატორთან მისამართზე: ჭავჭავაძის გამზ. №74ა.**

**გიორგი დუნდუა ოჯახით მწუხარებით თანაუგრძნობს გია ჭანტურიას ოჯახს და სხვა ჭირისუფალთ**
**ნაზი ჟღენტი-ჭანტურიას**
**გარდაცვალების გამო.**

---

**გიორგი დუნდუა ოჯახით მწუხარებას გამოხატავს**
**ვალიკო გრიგოლიას**
**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებს და სხვა ჭირისუფალთ.**

---

**ბონდო, ნუცა, ვასო და კოტე სამუშიები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან უახლოესი ნათესავის (ოჯახის წევრისძ**
**პაატა ალექსანდრეს (ბუბასძ ძე სამუშიას**
**გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ დედას, ქალბატონ ციალა სალიას, ძმას კობა სამუშიას და უახლოეს ნათესავებს. დაკრძალვა 18 III, 14 სთ. მის: ქ. ზუგდიდი, ბაკურიანის ქუჩა №12.**

---

**შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი – ფოპტნეტის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ თანამშრომლის**
**პაატა ალექსანდრეს ძე სამუშიას**
**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.**

## დაიჯესტი

### ნამარხი ტყუპები



**გობის უდაბნო, დედამიწის ერთ-ერთი ყველაზე ძნელად მისადგომი კუთხე, დიდი ხანია დედამიწის წარსულის შემსწავლელთა ყურადღებას იპყრობს. აქ მიაგნეს დინოზავრების ყველაზე დიდი განამარხების ადგილს. სურათზე თქვენ ხედავთ გობიში ნაპოვნ ერთ-ერთ უიშვიათეს ნამარხს:** ესაა ორი ტყუპი დინოზავრი, რომელიც იმ წამს დაიღუპა, როგორც კი კვერცხიდან გამოიჩეკა. ოცი სანტიმეტრის სიგრძის პატარა დინოზავრებს სხეულის წაგრძელებული ფორმა აქვთ. ამ ჯიშის მოზრდილი დინოზავრები სიმაღლით ორ მეტრს აღწევდნენ და პალმის ფოთლებით იკვებებოდნენ. კეფის რქოვანა ფარი კი ამ ცხოველებისთვის ყბების მძლავრი კუნთების მშვენიერი სამაგრი იყო.

### თანამედროვე... გამოქვაბული



**„უკან, ბუნებისკენ!“ – ფრანგი მოაზროვნის ჟან-ჟაკ რუსოს ეს ოდესღაც პოპულარული გამოთქმა, როგორც ჩანს, დასავლელ არქიტექტურებში ამჟამადაც პოპულარულია, თუმცა, რა გასაკვირია და ყველა მას თავისებურად აღიქვამს.** მათ შორის კი, ალბათ, ყველაზე ორიგინალური იდეა შვეიცარიელ არქიტექტორ დანიელ გრატალს მოუვიდა. მან ბეტონისგან კეთილმოწყობილი... ბეტონის გამოქვაბული ააგო – მასშია ცენტრალური გათბობა, ელექტროგანათება, წყალგაყვანილობა და კანალიზაცია. თუმცა ერთი კია: რამდენს გაძლებს არქიტექტორი ამ გამოქვაბულში, ძნელი სათქმელია ისევე, როგორც კაცმა არ იცის, მოინდომებენ კი ამ საცხოვრისში ბინის დადებას ბატონ გრატალის ოჯახის წევრები?

### საქმიანი კითხვა

**„თქვენი შვილი თუ გატყიპეთ დღეს?“ – ამ მრავლისმეტყველი წარწერით დაამშვენა თავის ავტომანქანის ბამპერი ვინმე ალფრედ რეგნერმა,** რომლის კანდიდატურა მოზარდებში დანაშაულის თავიდან აცილების სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს უნდა დაემტკიცებინა.



### დინოზავრები... ძველი მანქანებიდან



**„29-ე საუკუნის დინოზავრები“ – ასე ეწოდებოდა ამერიკის ქალაქ ლოს-ანჯელესის ისტორიულ მუზეუმში მოწყობილ გამოფენას.** აღსანიშნავია, რომ გამოფენის თხუთმეტივე ექსპონატი, რომელთაგან ერთ-ერთს – 4 მეტრისა და 29 სანტიმეტრის სიმაღლის დინოზავრს ფოტოზე ხედავთ... ძველი ავტომანქანების დეტალებიდან დაამზადეს.

### თუ გინდა კაცი გახდე – ეძიე ქალი!

**ნამდვილი მამაკაცი, როგორც ამას ჯერ კიდევ ძველად ამბობდნენ, ქალთან სასიყვარულო ურთიერთობისთვის მუდამ მზად უნდა იყოს.** ამის მაგალითების მოყვანა მრავლადაა შესაძლებელი: „ათას ერთი ღამის“ ერთ-ერთი ზღაპრის პერსონაჟი ღამის განმავლობაში 40 ქალს, თითოეულს 30-30-ჯერ დაეუფლა (!!ძ, ხოლო ინდურ ღმერთს კრიშნას 16 ათასი ცოლი ჰყავდა, რომელთაგან თითოეულმა 10 ვაჟი და ერთი ქალიშვილი გაუჩინა.

### უფრო იაფიც, უფრო სასარგებლოც

**უკვე რამდენი ხანია ამერიკელები უკოფეინო ყავას სვამენ და უნიკოტინო სიგარეტს ეწევიან, უცხიმო კარაქსა და უშაქრო კანფეტს მიირთმევენ. ახლა კი, როგორც ჩანს, უალკოჰოლო ღვინისა და ლუდის ჯერი დადგა.** მაღაზიებში აგერ უკვე რამდენი თვეა „შამპანური“ იყიდება, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ყურძნის შუშხუნა წვენი, რომელიც გემოთი მართლაც ჰგავს ჩვეულებრივ შამპანურს. იგივეს თქმა შეიძლება უალკოჰოლო ლუდზეც. სხვათა შორის, საგულისხმოა ისიც, რომ ეს სასმელები თავის „ალკოჰოლიან“ ნათესავებზე გაცილებით იაფია.

### სირაქლემა... ბადეში



**ლას-ვეგასის ზოოპარკიდან... სირაქლემა გაიქცა და საათში 65 კილომეტრის სიჩქარით ქალაქში სირბილი და მოქალაქეთა გულის ხეთქვა დაიწყო.** საბედნიეროდ 20 წუთის შემდეგ 90 კილოგრამის წონისა და 180 სანტიმეტრის სირაქლემა პოლიციელებმა ბადეში დაიჭირეს.

## დღის კალენდარი

### 13 მარტი



ამოდის 06.17
ჩადის 18.05



ამოდის 04.54
ჩადის 15.55

**მიცვალებულთა ხსენება. ღირსისა ბასილი აღმსარებელისა (VIIIძ; მღვდელმოწამისა პროტერისა, ალექსანდრიელი პატრიარქისა (457ძ; მღვდელმოწამისა ნესტორ ეპისკოპოსისა, პამფილიის პერგეს ვნებულისა (250ძ; ღირსთა დედათა მარანასი და კირასი (Vძ; მოციქულთა: ევულოსისა და ნუმფასი; მოწამისა აბერკისი (ავრიკისიძ; ახალმოწამისა ნა (ანაძ თესალონიკელისა (1751ძ; ღირსისა გერმანესი ( რუმინ.ძ (405-415ძ.**

### დაიბადნენ:

**1733 – ჯოზეფ პრისტლი,** ინგლისელი ფილოსოფოს-მატერიალისტი, ქიმიკოსი. გარდაიცვალა 1804 წელს.

**1835 – ლეონ კლოდელი,** ფრანგი მწერალი. გარდაიცვალა 1892 წელს.

**1897 – ელიშე ჩარენცი,** სომეხი პოეტი. გარდაიცვალა 1939 წელს.

**1924 – მერი დავითაშვილი,** კომპოზიტორი.

### გარდაიცვალნენ:

**1881 – მოკლეს ალექსანდრე II,** რუსეთის იმპერატორი, გლეხთა გამანთავისუფლებელი.

**1901 – ბენჯამინ ჰარისონი,** აშშ-ს 23-ე პრეზიდენტი.

**1971 – როკუელ კენტი,** ამერიკელი მხატვარი და მწერალი.

### მოვლენები:

**1918 წელი** – დაიწყო ბრესტის სამშვიდობო ხელშეკრულების რატიფიკაციის პროცესი.

**1930 წელი** – ამერიკელმა ასტრონომმა კლაიდ თომბაუხმა აღმოაჩინა პლანეტა პლუტონი. მისი არსებობა 14 წლით ადრე იწინასწარმეტყველა ამერიკელმა ასტრონომმა პერსი ლოველმა.

**1938 წელი** – რუსული ენა საბჭოთა სკოლებში აუცილებელ საგნად შემოიღეს.

**1969 წელი** – გაუშვეს ამერიკული კოსმოსური ხომალდი „აპოლონ-9“.

**ღირსსახსოვარი დღე:**

**გრენადა** – რევოლუციის დღე.

**მედიანიუსი**



## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7360 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3632 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6481 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.7792 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.5165 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1608 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1727 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1279 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5433 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +0 – +9 |
| ქუთაისი. | +12 – +21 |
| ბათუმი. | +14 – +16 |
| ზუგდიდი. | +14 – +18 |
| თელავი. | +1 – +11 |

## კადრი



**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## ანეკდოტები

თუ გინდათ, რომ ბავშვს უფასო განათლება მიაღებინოთ, ინსტიტუტი უნდა შეიძინოთ...

* * *

ვისაც მიაჩნია, რომ ჩვენს ქვეყანაში სიტყვის თავისუფლება არ არის, სცადოს და ხალხით გადატენილ ავტობუსში ვინმეს ფეხზე დააბიჯოს.

* * *

მიხო ავარიის შემდეგ გრძნობაზე მოდის და კითხულობს:



– სადა ვარ?
– ოცდამეხუთეში.
– პალატაში თუ კამერაში?

* * *

– როგორ მოგწონთ მოსკოვი? – ეკითხებიან ჩინელს.

– შესანიშნავია: სისუფთავეა, სიწყნარეა და ხალხიც ცოტაა...

* * *

განცხადება: „გთხოვთ, გამაგზავნოთ ხელფასის ამაღლების კურსებზე“.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.